შაბათი. 1919 წ. იანვრის 18 № 13
ფასი თბილისში და პროვინციაში 1 მან. რეკ. ბაზის საფოსტოთ 1 მან.
შაბათი. 1919 წ. იანვრის 18 № 13

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელიეტონი მეხუთე

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სახახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ სამი თვით და ღირება—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

ღრმად დამწუხარებულნი ძმა კონსტანტინე თუმანიშვილი ცოლით და შვილებით, დი ნატალია აბაშიძისა შვილებით და რძალი მარიამ თუმანიშვილისა შვილებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი დაი

მარიამ (მაკრინე) ნიკოლოზის ასული

ლორთქიფანიძისა

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე; გამოსვენება შაბათს, 18 იანვარს, დილით 10 საათზე თავის ბინიდან (კოჩუბეევის ქუჩა, სახლი № 13) ანჩისხატის სობოროში, დაკრძალვა კი წმიდა ნინოს სასაფლაოზე. 2—2023—2

მეუღლე გიორგი ნიკოლოზის ძე ბაგრატიონ-დავითიშვილი შვილებით თინათინა და ქეთევან გიორგის ასულნი ბაგრატიონ-დავითიშვილის, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, 18 იანვარს ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში იქნება გადახდილი ორშოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ელენე პავლეს ასულის

ბაგრატიონ-დავითაშვილისა

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი 12 ნახ. საათზე. 1—2026—1

21 იანვარს დღით სამ საათს, საღამოს 5 საათზე გადახდილ იქნება პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში, პოლკოვნიკის

პარმენ ლომინის ძის პორაბაისას

სულის მოსახსენიებლად. რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ გარდაცვალებულის შვილი გიორგი პარმენის ძე, ძმა ნოე ლომინის ძე, რძალი ოლინკა ირაკლის ასული, ძმის წული დავით ნოეს ძე კორძაიები, დისწული მარგარიტა (ბეგი) გიგოს ასული ლორთქიფანიძისა და სიძე ივანე ნესტორის ძე ლორქიფანიძე.
2028 1—1

რაჭის სამაზრო საეროგო გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ხსენებულ მაზრაში ასარჩევია ოთხი მომრიგებელი მოსამართლე. ვისაც ჰსურთ არჩეული იქმნან განცხადება უნდა შემოიტანენ გამგეობის სახელზედ დ. ონში.
2—2022—2

გამოვიდა ქართულ ენაზე

„ახალი კანონები მუშათა დაზღვევის და უზრუნველ ყოფისა ავადმყოფობის დროს".

იყიდება შრომის სამინისტროს კანცელარიაში და ჭლირს ორი მანეთი.
5—2021—3

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახოვისა

დღეს, 18 იანვარს წარმოდგენილი იქნება:

კამორრა

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

კვირას, 19 იანვარს დილით „რიგოლეტტო", საღამოთი

ლუტგარ სტოლერმანის ბენეფისი

რუსლან და ლიუდმილა

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახოვისა

ხუთშაბათს, 23 იანვარს, **ქართულ ენაზე** წარმოდგენილი იქნება

ოპერა

დემონი

მონაწილეობენ: ქ-ნნი: შულგინა, ხორინა; ბ-ნნი: სარაჯიშვილი, ინაშვილი, ისეკი, დემიანენკო, კურბატოვი.

ახალი დადგმა ალ. წუწუნავასი. 5—97—1

ყიდვილი „საუფლისწულო მამულის" ღვინოები

(удѣльныя вина)

გაიხსნა განყოფილება სახელმწიფო საღვინისა

ტელეფ. № 888. სასახლის ქ. № 5. ტელეფ. № 888.

რესტორანების, სასტუმროების და მაღაზიების პატრონები და სხვა მოქალაქენი, გოლოვინის პროსპექტის და ერევნის მოედნის რაიონში მცხოვრებნი, რომელთაც სურთ შეიძინონ „საუფლისწულო" მამულის ღვინო **პრეისკურანტის ფასებში**, კვთილ ინებებენ მიმართონ ზემოაღნიშნულ მისამართით.
12—10

უოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

„საქართველო"

1919 წელ. | **ფელიეტონი მეხუთე** | **1919 წელ.**

მორიგ მასალის გარდა გაზეთში დაიბეჭდება ვასილ ბარნოვის დიდი ისტორიული

რომანი „ტრფობა ფამეებული" რომანი

გაზეთის ფასი:

წლით—150 მან., ნახევარი წლით—75 მან., სამი თვით—40 მან., ერთი თვით (მხოლოდ თბილისში)—15 მან.

ხელის მომწერს, რომელიც გაზეთის ფასს გარდა კიდევ 10 მანეთს შემოიტანს, მიეცემა წლის ბოლომდე

გეროლტი ჯიკოძის წიგნი ეროვნული ენერგია

მისამართი: თბილისი, სახახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამის მისამართი: თბილისი „საქართველო". ტელეფონი—15—73. კონტორა ღიაა დილით 9—3 ს.

ქართველ-სომეხთა პოლიტიკური. და მოკავშირენი

ინგლის-საფრანგეთის სამხედრო წარმომადგენლების ჩარევით ჩვენი ჯარის ძლევამოსილი შეტევა ახალ წლის ღამით შეჩერებულ იქნა და ამრიგად მეოდიდურ ჰდროს ზინვორები განადგურებას გადურჩნენ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ უცხო ძალის წყალობით სომხეთის ჯარს კაპიტულიაცია ასცდა, ხოლო სანაინის ვერაგულ თავდასხმის სულის ჩამდგმელებს—შესეულ ჯარის სამართლიანი რისხვა!

სასტიკად დამარცხებული არარატის რესპუბლიკა „სულგრძელად" დათანხმდა, რათა სამშვიდობო კონფერენციაზე გადაწყვეტილიყო ყველა ის საკითხები, რისთვისაც მან ასე სამარცხვინოდ ააყლარუნა იარაღი.

ბრძოლის ველზე გაბიაბრუებული სომხეთი წახდენილ საქმის გამოსწორებას სამშვიდობო თათბირზე ლამობდა, წინდაწინვე სრულებით დაარხეინებული იმაში, რომ კონფერენციაში მონაწილე ინგლის-საფრანგეთის სარდლობის წარმომადგენელნი უსიტყვოდ მიიღებდნენ ყოველს მათ წინადადებასა და მოთხოვნას.

10 იანვრიდან თბილისში კიდევაც მუშაობდა საქართველო-სომხეთის სამშვიდობო კონფერენცია, რომელზედაც თავმჯდომარეობდა ინგლის-საფრანგეთის ჯარის წარმომადგენელი პოლკოვნიკი სტიუარტი.

კონფერენციას უნდა დეტალურად განეხილა საქართველო-სომხეთის მთავრობის შორის დადებულ ხელშეკრულების მუხლები და საბოლოო გარდაწყვეტილება გამოეტანა სადავო საკითხებზე.

კონფერენციის სხდომები გუშინ დასრულდა.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: სომხეთის დელეგატები დიდს შეურიგებლობასა და გამბედაობას იჩენდნენ კონფერენციაზე,—გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე ჰდროს ზინვორები ბრძოლის ველზე! სომხის დიპლომატებმა, ალბად, იციან, რომ ხშირად ომში წაგებას შემდგომ სდევს დიპლომატიური გამარჯვება, მაგრამ ის კი ველარ გაითვალისწინეს მათ, რომ რაც შესძლო, მაგალითად, გრაფ ვიტტემ პორტსმუტში, იმას თბილისში მამიკონიანც —ხაჩატურიანცები ვერ მოახერხებდნენ.

თავის თავად აშკარაა, რომ სომხეთის დიპლომატები იმედს ამყარებდნენ უფრო ინგლის-საფრანგეთის შუამავლებზე, ვიდრე საკუთარს ნიჭზე და გამჭრიახობაზე, მაგრამ ვერც ამ შემთხვევაში გაუმართლდათ მათ ოცნება: კონფერენციის ინგლისელ-ფრანგი წევრები ყველა მნიშვნელოვან საკითხში საქართველოს დელეგატების შეხედულებას იზიარებდნენ და კონფერენციაც ამასვე ადასტურებდა, მიუხედავად სომხეთის რწმენებულვების სიტყვიერი და წერილობითი პროტესტებისა.

კონფერენციის დადგენილებათა განხილვას ჩვენ შევეხებით ცალკე, როცა ოფიციალურად გამოქვეყნდება ოქმები და რეზოლუციები, აქ შევჩერდებით ზოგიერთ ფრიად დამახასიათებელ და საყურადღებო მოვლენებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ კონფერენციაზე: ომის მწარე გამოცდილებას, ეტყობა, ცვლილება ნაკლებად მოუხდენია სომხებში! ყოველ შემთხვევაში, აგრესსიული განზრახვები დღესაც ისევე ასულდგმულებს სომხეთს, როგორც ომის დაწყების პირველ დღეებში; ამას ამტკიცებს თუნდაც ის ფაქტი, რომ სომხეთის წარმომადგენელნი დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ სადავო ნაწილებად აღიარებულიყოს მთელი რაიონი მდინარე ხრამიდან დაწყებული ვიდრე ჯალალოღლამდე და ხრამისკენვე წამოწეულიყოს საქართველოს ჯარი! ამ ახირებულ მოთხოვნილებას სომხის დელეგატები იმით ასაბუთებდნენ, რომ რაიკროფტ-შარდინი-ჟორდანიას მიერ 26 დეკემბრის წინადადებაში კაჩაზნუნის სახელზე ნათქვამი იყო, რომ საქართველოს ჯარი შეჩერდება იმ ადგილას, სადაც ის დგას „ამ ჟამად". სომხის დიპლომატებს დააჯიწყდათ, რომ 26 დეკემბრიდან დაწყებული ხელშეკრულების დადებამდე სომხეთის ჯარი უკანმოუხედავად გარბოდა და მხოლოდ მაშინ შეჩერდა, როცა მას ახარეს საქართველოს მხედრობის იძულებითი შედგომა. კაჩაზნუნის მთავრობამ დეპეშაზე დროზე პასუხის მოცემა არ ინება, იქნებ, იმ იმედით, რომ ჰდროს ზინვორებისთვის საშუალება მიეცა ახალ წელს თბილისის დაშნაკელებთან ერთად მიჰგებებოდნენ! ამ მთავრობამ პასუხის გამოგზავნა მაშინ იკადრა, როცა სომხის ბრბოები ერევნისკენ შურდულივით მიექანებოდნენ და ხელშეკრულების აღსრულებაც სწორედ ძველ საზღვრებთან შესაძლებელი გახდა...

სომხეთის დელეგატების თავისებური ინტერპრეტაცია საერთაშორისო ხასიათის ხელშეკრულებისა კონფერენციის ინგლის-ფრანგ წევრებმა არ გაიზიარეს და საკმაოდ დათანხმნენ ქართველ დელეგატების მოსაზრებას.

წინასწარ ხელშეკრულების ძალით სადავო ტერიტორიის საზღვრებზე საქართველოსა და სომხეთს განსაზღვრული მცირე-რიცხოვანი გარნიზონები ჰყავთ. მაგრამ სანაინთან ქურდულად შემოპარვის შემდეგ სომხეთისა არა დაიჯერება რა და საქართველო უზრუნველყოფილი არ არის, რომ საზიზღარი და ლაჩრული თავდასხმა კიდევ არ განმეორდება, ამიტომ საქართველოს დელეგაცია კონფერენციაზე ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენლებს გარანტიას სთხოვდა მოსალოდნელ საფრთხის თავიდან ასაცილებლად; პოლკოვნიკ სტიუარტმა განაცხადა, რომ შეთანხმების სარდლობა სრულს გარანტიას აძლევს საქართველოს რესპუბლიკას და სომხეთის მიერ ახალ თავდასხმას შეთანხმების სახელმწიფოებისადმი casus belli-თ ჩასთვლის.

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ კონფერენციის მონაწილე ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენელნი ენერგიულად ეწინააღმდეგებოდნენ სომხის დელეგატების გადაჭარბებულ პრეტენზიებს და საკმაოდ აგრძნობინეს მათ, რომ უსამართლობისა და უაზრობის დაცვა მაინცა და მაინც არ შეადგენს შეთანხმების სახელმწიფოთა მიზანს კავკასიაში.

მოკავშირეთა ჯარების კავკასიაში გამოცხადებისთანავე სომხეთის მთავრობა შეეცადა ისენაირად მოეჩვენებინა ახალ ძალისათვის შექმნილი პოლიტიკური ვითარება, რომ კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებელი არსებობა ინგლის-საფრანგეთს მიეღო გერმანიის კოალიციის გამაძლიერებელ ფაქტორად. იმ დროს სომხის პრესაში გახშირდა კავკასიის ახალ პოლიტიკურ ერთეულების საწინააღმდეგო წერილები. სწორედ იმავე დროს არარატის რესპუბლიკის რეგულიარულმა ჯარმა ჩვენი სახელმწიფო საზღვრები გადმოლახა. სომხებმა ინგლისს აწეწილი და ცეცხლის ალში გახვეული კავკასია დაახვედრეს და მით თავდაპირველად დასახულ მიზანს თითქო მიაღწიეს: მოკავშირეთა სარდლების ნდობა და თანაგრძნობა გამოიწვიეს. ამას ხელს უწყობდა ყოველად უსინიდისო ინფორმაცია, რომელსაც ახალ სტუმრებს გზა და გზა აწვდიდნენ სომხის მოსყიდული აგენტები. მაგრამ საკმარისი იყო ევროპიელნი მდგომარეობას ადგილობრივ გასცნობოდნენ, რომ მყისვე ეგრძნოთ პირი ჩარჩ-პოლიტიკოსებისაგან და სიმართლე სხვაფრივ ეძიათ...

მოკავშირე სახელმწიფოთა ჯარების შემოსვლამ სომხებს ზღაპრული პერსპექტივები დაუსახა და „მეწ-ჰაიასტანის" შექმნა სულ ახლო მომავლის რეა-

უკანასკნელი ცნობები.

საქართველო-სომხეთის კონფერენციამ სამხედრო ტყვეების გაცვლის დღეთ დანიშნა 20 იანვარი (ახ. სტილით) ხოლო გაცვლის ადგილათ სადგური კარაკლისი.

—

კონფერენციაზე საქართველოს საზღვრებიც დამტკიცდა.

—

თბილისში კადეტების პარტიის ბიუროში დენიკინის ჯარში წასასვლელად ეწერებიან რუსები და სომხები.

—

სამხრეთ რუსეთში დონიდან კავკასიამდე რუსეთის ლაშქრის მთავ. სარდლობა გენ. დენიკინმა მიიღო.

—

შვეიცარიიდან გერმანელ ტყვეებს არ უშვებენ.

—

გერმანელებმა მოკავშირეებს 2713 მაეროპლანი ჩაბარეს.

—

ზემო - სილეზიაში პოლონელები არეულობას ახდენენ.

—

ბრომბერუს პოლონელებმა ალყა შემოარტყეს.

—

მიტავა გერმანულ ჯარებმა დასცალეს.

—

უკრაინის საბჭოთა ჯარი ვორონეჟში შევიდა.

ლობად მოელანდათ თავბრუდასხმულ სომხის ხელმძღვანელებს, მაგრამ სინამდვილე მათ გატაცებულ ოცნებას ფრთებს უკვეცავს და ააშკარავებს, რომ გამარჯვებულ კოალიციის ახლოაღმოსავლეთის პოლიტიკა სომხებზე ზრუნვით არ შემოიფარგლება!

ამის ცხადი ნიშნები კიდევაც სჩანს...

რ. ინგილო.

ქალაქის არჩევნების გარშემო

მოახლოვდა ქალაქ თბილისის საბჭოს არჩევნები. იგი დანიშნულია თებერვლის პირველ რიცხვებისთვის.

ამ არჩევნებზე არის დამყარებული არა მარტო ქალაქის მცხოვრებთა ეკონომიური მდგომარეობის ბედი, თუ უბედობა, არამედ იმის საბოლოო გადაწყვეტაც, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს თვითონ თბილისი!

დარჩება ის „საერთაშორისო სასტუმროდ“ როგორც ჩვენი მტრები სცდილობენ და ოცნებობენ, თუ ბუნებრივად გადაკეთდება საქართველოს რესპუბლიკის ნამდვილ ღერძად და სრულიად ქართველი ხალხის სულიერ განცდის გამომხატველ დედაქალაქად.

ამ მხრივ მომავალ არჩევნებს აქვს უაღრესი პოლიტიკური მნიშვნელობა და ჩვენი სახელმწიფოებრივი მაჯის განმტკიცებისათვის არა ნაკლებ თვალსაჩინო იქნება, ვიდრე თვით დამფუძნებელ კრების არჩევნები.

დღეს ქალაქის საბჭოში უმეტესობა ეკუთვნის საქართველოს ორგულებს და მოღალატეებს.

იქ არის ჩვენი მტრების მთავარი ბანაკი.

იქ დაიწყო და გამტკიცდა უცხო და მავნე ელემენტების ბატონობა ჩვენს დედაქალაქში და თითქმის მთელს ქვეყანაში. იქ აშკარად, ჯერ კიდევ სოლოლაკის პლებისციტის თარეშის დროს, ილესებოდა ქართველი ხალხის დასაკლავად გამზადებული დანა და იქიდან აძლევდენ ტონსა და თავდარიგს იმ მიმართულებას, რომელსაც უნდა ამოეგლიჯა ქართველი ორგანიზმიდან მისი გული, დაეფლითა საქართველოს მიწა-წყალი და მისი ღვიძლი შვილები გაეხადა უფლება აყრილ, უმწეო, ბოგანო ხალხად.

ერევანში კი არა, აქ თბილისის საბჭოში არის კვანძი იმ ტრაგედიისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას ამ დღეებში თავს დაატყდა სადახლო-სანაინთან.

დიდი რევოლიუციის შემდეგ ხმოსანთა შემადგენლობა შეიცვალა. სოლოლაკელთა ადგილი დაიკავეს სხვა და სხვა რიგის „სოციალისტებმა“, მაგრამ პოლიტიკური გეზი კი ისევ უცვლელად დარჩა.

განსხვავება მხოლოდ ერთშია: მამები მოქმედობდნენ უფრო ფრთხილად, წინდახედულად, შვილებმა კი გამოიჩინეს უაზრო გაბედულობა და აღვირ წახსნილი თავხედობა.

ჩვენს წინააღმდეგ „სოციალისტ“ დაშნაკელებმა შეკრეს კავშირი სოციალისტ რევოლიუციონერებთან, რუსის სოციალ-დემოკრატებთან და კადეტებთან, შექმნეს უმრავლესობა საბჭოში და მედგრათ გამოილაშქრეს საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

აი მხოლოდ უკანასკნელი თვეების ფაქტები, რომლის მაგალითს ვერ ჰპოებთ მსოფლიო ისტორიაში მთელს დედა მიწაზედ.

მთავრობამ დაარსა ცალკე რაზმი, რომელიც უნდა შებრძოლებოდა თბილისში ბოროტებას და ანარქიულ გამოსვლებს.

დაშნაკელების მეთაურობით საბჭომ ხმის უმეტესობით დაადგინა, რომ ქალაქის მილიციამ, (რომელმაც ჯამაგირში ორი მილიონი მან. მთავრობისგან მიიღო), არ აღმოუჩინოს დახმარება მთავრობის რაზმს ბოროტებასთან ბრძოლაში, თითქოს საქართველოს მთავრობა სადმე მთვარეზედ ყოფილიყოს და არა თავის სატახტო ქალაქში.

სომხეთის ჯარი ჩვენ მამაპაპეულ ბორჩალოში ვერაგულად თავს დაესხა ჩვენს ჯარს, გადმოლახა საზღვრები და ომი გამოგვიცხადა. საბჭომ იქონია მსჯელობა ამის შესახებ და დაშნაკელ-ესერთა ხმის უმეტესობით გამოსთქვა სურვილი, რომ ქართველი ჯარი კიდევ უკან წამოვიდეს მდინარე ხრამს აქეთ და უარჰყო გეგეჭკორრამიშვილის წინადადება, რომ აღდგენილ იქნას statusbuo ante bellum, ე. ი. მდგომარეობა, რომელიც სომხების შემოსევის წინ იყო.

ეს იყო აშკარა ღალატი, რომლისათვის სხვაგან დახვრეტას გადაუწყვეტდნენ, მაგრამ ჩვენში შერჩათ ისე, როგორც წინანდელი მათი შზაკვრული მოქმედება.

ჩვენმა ჯარმა დაამარცხა შემოსეული მტერი, უკუ აქცია იგი, მაგრამ ომი მაინც ჩვენდასაზარალოთ გათავდა, და ჩვენ დავკარგეთ ბორჩალოს მაზრის ის ნაწილიც, რომელიც აქამდის სადავოთ არ ითვლებოდა.

შეგროვდა საბჭო, რომლის კრებაზედ გამოცხადნენ ის ხმოსნებიც, რომელნიც ორიოდე დღით ჩვენს მთავრობას დაეჭირა და მერმე საჩქაროთ გაენთავისუფლებია და გამოცხადნენ ისინიც, რომელთაც მთავრობა დასაჭერათ ეძებდა, მაგრამ ველარ ეპოვნათ.

ასტეხეს მთელი კორიანტელი, როგორ გაჰბედეთ, და სომხები ომის დროს თფილისში დაიჭირეთო. ესეც არ გვაკმარეს; მოითხოვეს, რომ ყველა მცხოვრებმა, საქართველოს ქვეშევრდომია ის, თუ არა, მაინც მიიღოს მონაწილეობა ქალაქის ახალ არჩევნებში, საქართველოს პარლამენტის მიერ გამოცემული კანონი ქვეშევრდომობის შესახებ უნდა უარყოფილ იქნას, მოხდეს ახალი აღწერა და ხმოსნების არჩევნებიც გადაიდოს, მიუხედავათ იმისა, რომ ახლანდელ საბჭოს მოქმედების ვადა უკვე გაუთავდა პირველ იანვარს.

ქართველმა ხმოსნებმა შეიტანეს წინადადება, რომ მოწონებულ იქნას გამგეობის ნაბიჯები არჩევნების თავდარიგის შესახებ და არჩევნებიც მოხდეს კანონის მიერ დაწესებულ დროს თებერვლის პირველ რიცხვებში, ე. ი. ერთი თვის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც გაუთავდა საბჭოს მისი ვადა.

დაშნაკელების, სოციალისტ-რევოლიციონერების, კადეტების და რუს და ებრაელ სოციალ-დემოკრატების შეერთებულმა ძალამ წინააღმდეგ ყველა ქართველი ხმოსნების ხმისა, უარჰყო ეს კანონიერი წინადადება.

აღარ გავაგრძელებ მაგალითების მოყვანას. ეს ნიმუშებიც საკმაოა, რომ ნათლად შევიგნოთ, ვისთან გვაქვს საქმე და ვის ხელში იყო აქამდე ჩვენი დედა-ქალაქის ბედი.

ჩვენმა მთავრობამ გამოიჩინა უკიდურესი მოთმინება, განსაცვიფრებელი თავ-დაჭერილობა, რომ გვერდში ჰყავდა ასეთი მოსისხლე მტერი, და შესაფერი ზომები კი არ მიიღო.

მაგრამ რაც ვერ შესძლო მთავრობამ, ის უნდა გააკეთოს თვითონ ქართველმა ხალხმა.

თვითონ ხალხმა უნდა გასწმინდოს ქალაქის საბჭო იმ მოღალატეებისაგან, რომელნიც აქ დაბუდებულან, იმ მუხანათობისაგან, რომელნიც აქიდან მომდინარეობს.

მთელი ქართველობა მტკიცეთ უნდა შეუდგეს ამ აზრის განხორციელებას და მომავალ არჩევნებიდან გამარჯვებული გამოვიდეს.

ჯერ კიდევ ჩვენს მტერს დიდი ძალა აქვს. ჩვენ ვერ გვიხსნის, ქვეშევრდომობის კანონი, თუ არჩევნებს შევხვდით გულგრილად.

ქართველებო, დაირაზმენით, რომ არ დაიკარგოს არც ერთი ჩვენი ხმა, რომ არ დააკლდეს არჩევნებს არც ერთი მოქალაქე, მამაკაცია ის, თუ დედაკაცი.

მტერი. რომელიც ბრძოლის ასპარეზზე დამარცხდა, უნდა დამარცხდეს საარჩევნო კომპანიაში.

პართენ გოთუა.

პრესა

საქართველოს ტერიტორიის გაწმენდა

გაზეთი „სახალხო საქმე“ მეთაურში ეხება საქართველოს და სომხეთის დამოკიდებულებას ომის შემდეგ და აგრეთვე საქართველო-სომხეთის კონფერენციის შედეგებს და საქართველოს ტერიტორიის გაწმენდაზე შემდეგსა სწერს:

საქართველოს არ სურს სომხეთის განადგურება, მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ ერევნის სომხებმა განუსაზღვრელი მოთხოვნილებანი წამოაყენონ და შეეცადონ სუვერენულ საქართველოს ტერიტორიალური თუ უფლებრივი შეზღუდვა. სომხებს ავიწყდებათ, რომ ისინი ჯერ არც ერთს ოლქში არ არიან ისე დამკვიდრებულნი, რომ კიდევ სხვა მიდამოებს უყურონ ჩასაყლაპავად. თვით ერევნის გუბერნიის სომხებით დასახლება არ დაუსრულებიათ ჯერ. არ აქვთ შექმნილი საკმაო ეკონომიური კულტურა და მათი ტერიტორიალური პრეტენზიები კიდევ უფრო მეტად გაათხელებენ ისედაც მცირედად დაფარულ სომხურ ადგილებს. სომხების ეროვნული ინტერესი უნდა იყოს არა ტერიტორიალური გაფართოება, არამედ ტერიტორიის გაასაზღვრა, შემცირება, რომ შექმნან ეთნოგრაფიით სახელმწიფოებრივი მოლიანობა. ამისთვის სომხები უნდა ცდილობდნენ სომხების გაყვანას არა მარტო აღერბეიჯანიდან, არამედ საქართველოდანაც, ვინაიდან ჩვენში მიწის სიმცირეა, ხოლო სომხეთში კი სომხების სიმცირეა. ასეთი პოპოლიტიკა გააჯანსაღებდა სომხეთის სახელმწიფოს და ამ პოლიტიკას დიდი დახმარება უნდა გაუწიოს საქართველოს მთავრობამაც.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია 20 წლის განმავლობაში იბრძოდა ეროვნულ იდეისათვის და ამ იდეამ გამოსავალი ნახა ამ ომის დროს, როდესაც საზოგადოდ პრაკტიკულად დაისვა ყველგან ეროვნულ სახელმწიფოების იდეამ აზროვნების და ბრძოლის შედეგი საქართველოს სახელმწიფო და არა პროზაული კომბინაციების ნაყოფი.

მაგრამ ბ-ნი დუბროვსკი არ კმაყოფილდება საქართველოს მარტო ასეთი დახასიათებით. დუბროვსკის ინტუიცია სოციოლოგიურს ექსკურსიას ახდენს და სოციოლოგიურ კანონად აცხადებს ბრძოლის მაგიერ კომბინატორულ მუშაობას. დუბროვსკი სწერს: „გარიბალდის და მაზინის გმირულ აღტყინებას ერთი მილიონედის გავლენაც არ მოუხდენია იტალიის განთავისუფლება-გაერთიანებაზე როგორც ეროვნული იდეალი განახორციელა...

ჩვენ ყოველთვის ვურჩევდით სომხებს ასეთ გზას. მაგრამ სომხების მაგივრ ქართველი სოციალისტები გვებრძოდნენ და ჩვენ საღ ეროვნულ პოლიტიკას შოვინისტობას არქმევდნენ. ამ დამაშინებელ ეპიტეტს ეხლაც არ ზოგავენ ჩვენთვის, როცა საკითხი შეეხება ჩვენ დამოკიდებულებას სომხებთან. მაგრამ, როცა საქართველოს დამფუძნებელ კრების წინ საჭირო გახდა ეროვნული ლოზუნგები და რეალურად შეხება საქართველოს ინტერესებისა, შაშინ „სახალხო საქმე“-მაც ნახა საჭირო სიტყვები.

საქართველო - სომხეთის კონფერენციის დადგენილება საქართველოს საზღვრებისთვის

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მთავარსარდლის ღენ.-მაიორ გედევანიშვილის, სომხეთის რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს წარმომადგენლის ღენ.-მაიორ ყორგანოვის, საქართველოს ლაშქრის პოლკოვნიკის ჯაფარიძის მიერ შემდგარ კომისიამ თანახმად სომხეთ-საქართველოს შორის მომხდარ კონფლიქტის გამოსარკვევად შემდგარ კონფერენციის თავმჯ. ინგლისის ლაშქრის პოლკ. სტიურტის საბოლოო გადაწყვეტილებისა—დაადგინა, რომ ბორჩალოს მაზრაში სადაო ზონის საზღვარი ჩრდილოეთი უნდა გახდეს იმ პუნქტების შემაერთებელ ხაზად, რომელიც ეჭირა საქართველოს ლაშქრის ნაწილებს 31 ქრისტეშობისთვეს ახ. სტ. 1918 წ. 24 საათზე, ბორჩალოს მაზრის სადაო ზონისა ჩრდილოეთ საზღვრად სოფლების საზოგადოებათა მიერ მიწის დამუშავებით გამოწვეულ ადგილის მიმართულების შეცვლამდის, ჩათვალოს: ლელლი-დაღის მთა, პირდაპირი ხაზი უღელ-ტეხილზე ს. ირღანჩაიმდის, პირდაპირი ხაზი 798 სიმაღლემდის; შემდეგ კულულაშის სიმაღლემდის (855,5) სიმაღ. 676, სოფ. საათი, სიმაღლე 739, სოფ. ჯანდარი, სიმაღ. 735, სიმაღ. 694, სოფ. ახკერპი, პირდაპირი ხაზი სოფ. ოფრეთი სიმაღ. 492, ხოჯორნის ახლოს სოფ. ბარდაზორის ეკლესიის ნანგრევები,—სოფ. სადახლო, სადგ. სადახლო, სადახლოს ჩრდილოეთით მთის წვერი 1554,—შემდეგ 2660 სიმიღლემდის. (მთა ტანა დაღი). შემდეგ წყაროს წარწერამდის, რომელიც ხაჩაყალას მთაის პაჭუთლი-ბაში წარწერის ჩრდილოეთით არის.

სოფლები ირღახჩაი, საათი, ჯანდარი, ახკერპი, ოფრეტში, ხოჯორნი ბარბაზორი, სადახლო—რჩებიან ჩრდილოეთით ნაჩვენებ ხაზში.

ამავე კომისიის წინადადებით დაადგინეს შემდეგი გარნიზონი საქართველოს და სომხეთის ლაშქრების ნაწილებისა ბორჩალოს მაზრის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებში:

ა) ქართული გარნიზონი ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში:

1. სანაპირო რაზმის ერთეულები საერთო შემადგენლობით არ აღემატება 200 კაცს და უპირავს საგუშაგოები ახალქალაქის მაზრის საზღვრიდან სოფ. ოფრეთამდე.

2. სადგ. აშაგა-სერალთან ბათალიონი სამი გუნდისაგან შემდგარი საერთო რიცხვით არა უმეტეს 360 ჯ.-კაცისა, მათ რიცხვშია უმწყობრო ჯ.-კაცებიც, ტყვიისმფრქველელის მცირე გუნდი 4 ტყვიისფრქეველით არა უმეტეს 50 კაცისა; ორი ზარბაზანი შესაფერი მოსამსახურეებით. ბათალიონს შეუძლია წარგზავნოს ზერგები სოფ. ოფრეთში და სადახლოში თითო ზერგში არა უმეტეს 60 კაცისა.

3. რაზმი მოდარაჯე ერთეულის საერთო რიცხვით არა უმეტეს 50 კაცის წყაროს წარწერიდან, რომელიც იმყოფება კლდის ხაჩაკალას წარწერის ჩრდილოეთით მდ. ხრამის მტკვრის შესართავამდის.

ბ) სომხეთის გარნიზონები ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილში:

1. გუნდი არა უმეტეს 125 კაცისა, მათ რიცხვშია უმწყობროებიც, სადგ. კალაგერანისა და ს. ლიხის რაიონში

2. ჯალალ-ოღლის, გგრგვრის, და ნიკოლაევკას რაიონში. ბათალიონი სამი გუნდის შემადგენლობით საერთო რიცხვით არა უმეტეს 360 კაცისა მათ რიცხვშია უმწყობრონიც. ტყვია-მფრქეველი მცირე გუნდი 4 ტყვია-მფრქეველით და არა უმეტეს 50 კაცისა ორი ზარბაზანი შესაფერ მოსამსახურე პირებით.

3. გუნდი არა უმეტეს 125 ჯარისკაცისა მათ რიცხვში უმწყობრონიც საუფლისწულო ქონების და ნოეო-პოკროვკის რაიონში.

გ) საერთოდ საქართველოს გარნიზონმა ჩრდილოეთ ნაწილში და სომხეთისამ სამხრეთ ნაწილში არ უნდა გადაამეტოს 660 ყოველ ნაწილში ზარბაზნის მოსამსახურე პირების საჭირო შემადგენლობით.

დ) ორივე მხარეს უფლება აქვთ ქვეითა ნაწილები შესაფერი რიცხვის ცხენოსანი ჯაჯრისკაცები შესცვალონ.

სამხედრო ტყვეების გაცვლა.

საქართველო-სომხეთის რწმუნებულთა მიერ დადებული ხელშეკრულება სამხედრო ტყვეების გასაცვლელად და სამხედრო მოქმედების დროს დაპერილთა გასანთავისუფლებლად.

საქართველო-სომხეთის კონფერენციაზე სამხედრო ტყვეების გაცვლის მოსახდენად შემდეგი ხელ-შეკრულობა დაიდვა:

1. სამხედრო ტყვეების გასაცვლელ პუნქტად ინიშნება რკინის გზის სადგური „კარაკლისი“.

2. გაცვლის დღეთ ინიშნება 20 იანვარი ახალი სტილით. ამ დღეს ორივე მხარემ აღნიშნულ ადგილას უნდა მოიყვანოს ყველა სამხედრო ტყვეები: აფიცრები. მოხელენი, ექიმები და ჯარისკაცები, სადაც გაცვლა მოხდება.

3. სამხედრო ტყვეთა ეშელონებს თან უნდა ახლდნენ ორივე მხრიდან სამხედრო სამინისტრთა წარმომადგენლები ტყვეების სწორე სიით ორ ეკზემპლიარად, რომელთაგან ერთი მოწინააღმდეგე მხრიდან მიმღებს გადაეცემა.

4. ჯარში გასაწვევი პირები, ან უშუალო მონაწილეობის მიმღებნი სამხედრო მოქმედებაში, ან ეროვნულ თვალსაზრისით შეპყრობილი პირები უნდა განთავისუფლებულ იქმნენ დაუყონებლივ და უსასყიდლოდ უნდა გამოგზავნონ რკინის გზით იმ პუნქტებში, სადაც შეპყრობილ იქმნენ.

5. ის პირები, რომელნიც რესპუბლიკის სახელმწიფო საშსახურში იმყოფებოდნენ კონფლიქტის დაწყებისას და იმყოფებოდნენ მოწინააღმდეგე მხრის ტერიტორიაზე დაუყონებლივ განთავისუფლებულ უნდა იქმნენ.

6. ის პირები, რომელნიც სომხეთის რესპუბლიკის სამხედრო ორგანიზაციებში მსახურობდნენ და შეიარაღებულ კონფლიქტის დაწყებისაც მოჰყვნენ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში დაუყონებლივ უნდა განთავისუფლდნენ.

7. ზემოხსენებულ დადგენილების მე-4, 5, 5 მუხლების ცხოვრებაში გატარების თვალყურის დევნა იკისრეს ამიერ-კავკასიაში მყოფ მოკავშირეთ უმაღლეს სარდლობის წარმომადგენლებმა

ხელს აწერენ:

საქართველოს რესპუბლიკის რწუნებულის წარმომადგენლები, საქართველოს ჯარის მთავარსარდალი გენერალი **გედევანიშვილი**

საქ. სამხ. სამინისტროს მონდობილობით შტ.-ოფ. პოლკ. **ი. ჯაფარიძე.**

სომხეთის რესპუბლიკის რწუნებულების წარმომადგენელი გენ.-მაიორი **ყორლანოვი**

საქართველოს საზავო დელეგაცია გათუმში

11 იანვარს ბათუმის ქართული ეროვნულ საბჭოს და სამეჰჭადიანო საქარ. განმათავისუფლებელმა კომიტეტმა ადგილობრივ საკრებულო დარბაზში ვახშამი გაუმართეთ ინგლისის წარმომადგენელთ და პარიზში მიმავალ საქართველოს დელეგაციას. სიტყვები წარმოსთქვეს: დელეგაციის თავმჯდომარემ ნ. ჩხეიძემ, ნ. ნიკოლაძემ, შამედ-ბეგ აბაშიძემ, ზია-ბეგ აბაშიძემ, ქალაქის თავმა რ. ჯავახიშვილმა, გაზეთ „საბუსლიმანო საქართველოს“ რედაქტორმა თასიმ-ბეგ ხიმშიაშვილმა, პოლკ. გედევანიშვილმა, გენ. ერისთავმა და ექიმმა ღამბაშიძემ. ინგლისელებიდან პოლკ. ლევესინმა და აგრეთვე ბელევმა. ორთავემ ის აზრი გამოსთქვეს, რომ საზავო კონფერენციაზე მიმავალ საქარ. დეპოკ. რესპუბ. დელეგაციას ყოველ თავის კანონიერ ეროვნულ მოთხოვნილებაში დიდი ბრიტანიის დელეგაცია მხარს დაუჭერსო.

საპარლამენტო ქრონიკა

საფინანსო კომისია

1. შემოვიდა კანონპროექტი განათლების მინისტრისა, საშუალო სასწავლებლებისათვის ავანსის გადიდებისთვის.

2. კანონპროექტი პარლამენტის პრეზიდიუმისა პარლამენტის 1919 წლის ხარჯთაღრიცხვის შესახებ.

—

საფინანსო კომისიამ 15 იანვრის სხდომაზე განიხილა კანონპროექტი ფინანსთა მინისტრისა 1912 წლ. მკათათვისა და 1914 წლ. 28 თიბათვის კანონით მოსამსახურეთათვის საჩუქრის მიცემის გაუქმების შესახებ. კანონპროექტი უცვლელად მიიღო.

შემდეგ განიხილა კანონპროექტი მიწადმოქმედების მინისტრისა შესახებ 61,500 მან. გადადებისა სამკურნალო წყლების სახელმწიფოს განკარგულებაში მისაღებათ.

კანონპროექტი მიიღეს.

ქრონიკა

ინგლისელების მიერ რკ. გზის დათვალიერება. გუშინ თბილისიდან ნატანებსა და ბათუმს შუა რკინის გზის დასათვალიერებლად ინგლისელების ინჟინრები გაეგზავნენ.

ფონ-კრესსის სამადლობელი დეპეშა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ქუთაისიდან გენ. ფონ-კრესსის მიერ შემდეგი სამადლობელი დეპეშა მიიღო:

„გმადლობთ გულთბილ დახვედრისა და ქუთაისში შესანიშნავად დაბინავებისათვის“. ფონ-კრესსი.

რკინის გზის დაცვისათვის ინგლისის საკომენდანტომ თბილისიდან ბათუმამდე და ფოთამდე რკინის გზისა და ხიდების დასაცავად, რკინის გზის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებაში გადასცა სიპაების ერთი ბათალიონი.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დამფუძნებელ კრების ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საქ. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კანდიდატების სია შევიდა. სია 112 კანდიდატებისგან შესდგება.

ღვინით ვაჭრობის შესახებ. ქ. თბილისის გენერალ - გუბერნატორი გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ გაზეთებში გამოცხადებული ცნობა, ვითომც გენერალ-გუბერნატორის მიერ ღვინისა და სხვა მაგარ სასმელ[illegible] გაყიდვა ნებადართულ [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

ტრის თავმჯდომარეობით საგანგებო სხდომა შესდგა. სხდომის საგანი საქართველო ადერბეიჯანს შორის, ნავთის შესახებ, დადებული ხელშეკრულება იყო. მაგრამ რადგანაც საქართველოს წარმომადგენელად ¦ადერბეიჯანში ბ. ქარციევაძე კრებას ვერ დაესწრო, კრების მთავარ საგნად ნავთზე მონოპოლიის შემოღება იყო რის შესახებაც მინისტრი მთავრობას მოხსენებას წარუდგენს.

— **ქალაქისათვის საავადმყოფოს გადაცემა.** მელკო-სანიტარულ ცენტრალურ კომიტეტმა. 5 № სამხედრო საველე საავადმყოფო დროებით სასარგებლოდ ქალაქის გამგეობას გადაეცა.

— **ბათუმსა და ბაქოს** შუა რკინის გზებზე მიმოსვლა აღდგენილია. საპირო სურსათის გაგზავნა გენერალ ველენსონისთვის გაადვილებულია კასპის ზღვით.

პარტიული ცხოვრება.

ახალგაზრდობის კრება. დღეს, საღამოს 5 ს. სამეურნეო ბანკში (სასახლის ქ.) დანიშნულია ეროვ.-დემოკრატ ახალგაზრდობის საერთო საგანგებო კრება. განხახილველია დამფუძნებელი კრებისა და თბილისის საქალაქო არჩევნების საკითხები. დასწრება აუცილებლად საპირო.

— **კომიტეტის ბეჭედი.** ამას წინად ვაცხადებდით, რომ მთავარი კომიტეტის ბეჭედი დაიკარგაო. აღმოჩნდა, რომ ის ბეჭედი კომიტეტის ერთ წევრს შემთხვევით გაყოლოდა და ისევ დაბრუნდა.

მხატვრული ქრონიკა

— **„პოეტების ცეხი კალჩუგა“.** დღეს დანიშნულია მორიგი სხდომა პოეტების ცეხის, გოლოვინის პრ. № 12. მოხსენებას წაიკითხავს ა. კრუჩიონისი „მაცდურება ახალ შეგნების“. კამათში მონაწილეობენ იური დეგენი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ილია ზდანევიჩი და სხ.

— **„ფანტასტიური დუქანი“.** დაიბეჭდა და მალე გამოვა ალმანახი რუსის პოეტების „ფანტასტიური დუქანი“. ალმანახში მონაწილეობენ ცნობილი რუსის პოეტები პეტროგრადის და მოსკოვის. ალმანახში დაიბეჭდება აგრეთვე თარგმანები ვალერიან გაფრინდაშვილის, პაოლო იაშვილის ტიციან ტაბიძის ლექსების.

პროვინციის ცხოვრება

ქ. ქუთაისი

საქართველოს დამფუძნებელ კრების ქუთაისის სამაზრო საარჩევნო კომიხია მოთავსებულია სამაზრო ვრობის ბინაზე. ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება მდივანთან დილის 9—2 საათამდე.

— ორ კვირაში მოხდება ქუთაისის სამაზრო საერობო ხმოსანთა ყრილობა. ეს ყრილობა უნდა მოხდარიყო აქამდე, მაგრამ შექმნილ მდგომარეობის გამო დღემდე არ შესდგა.

— 26 მკათათ. 1 იანვრამდე წარდგენილა შრომის ბირჟაში 134 მოთხოვნილემა 257 მუშა ხელზე, 199 მაბაკაცზე, 58 დედაკაცზე. დაკმაყოფილებულია 131 მოთხოვნილება 246 მუშა-ხელზე.

— მარტვილის უბანში გაძარცვეს ბოროტგანმზრახველებმა კონსტანტინე ჯუდავა. ბოროტგანმზრახველებმა მოასწრეს დამალვა.

ახალციხე.

— სომხები აქაც არ ისვენებენ. ადგილობრივ ადმინისტრაციამ შეიპყრო მავნე პირები, რომელნიც საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ჰმოქმედობდნენ. უმეტესობა მათგან სომხის ბურჟუაზიიდან არის.

— ქალაქში სიწყნარეა. გამოცხადებული სამხედრო წესები დღემდის არ დარღვეულა.

— ქართველი ლტოლვილები ჩამქრალ კერას უბრუნდებიან.

— მოლე ხანში გამოვა გაზეთი „შესხეთი“.

დუშეთი

— დუშეთის მაზრის ვრობის ხმოსანთა დამფუძნებელი კრება შესდგა ქალაქ დუშეთში ამა წლის 5 და 6, ოომელზედაც არჩეულ იქმნა საბჭოს პრეზიდიუმი და გამგეობა.

საერობო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია დ. ა. ჩხეიძე (თურდოსპირელი), მის ამხანაგად ხმოს. ვ. მოლოდინი, მდივნად პ. შანჯგალაძე. გამგეობა შესდგება ხუთი კაცისაგან და არჩეულნი აოიან: თავმჯდომაოედ დ. გ. ჭოხიშვილი, წევრებად: ნ. გ. ჩიბაკაძე, ი. ციციგური, ¦. ი. ფარნიეკი და ა. დ. ინაშვილი. დღიდან არჩევისა გამგეობა შეუდგა თვის მოქმედებას.

ბოლჩალო

ბაშკიჩეთის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში ომიანობის გამო შეწყვეტილი ფოსტა-ტელეგრაფის ოპერაციები ქვლავ დაიწყო.

ს. ჭოგნარი

ავაზაკები თავს დაესხნენ თარხან ნიშნიანიძეს და ხანჯლით დასჭრეს. ნივთეულის წაღება ვერ მოახერხეს.

მცხეთა

თბილისის გენ. გუბერნატორის განკარგულებით გადააყენეს დუშეთის მაზრის კომისარი შელია და მცხეთის რაიონის კომისარი ცინცაძე ბოროტ მოქმედებისათვის.

ს. ლონირი

დონირ-ჭაგონის საზოგადოებიდან მოხსნეს ტელეგრაფის მავთული და ხონში გადაიტანეს. ამ ამბავმა ხალხში მდელვარება გამოიწვია.

მანგლისი

კადეტთა კორპუსის ყოფილი აგარაკი მანგლისში მთლად განადგურებულია. სოფლელები იტაცებენ ავეჯს, შენობის კარ-ფანჯარას და სხ.

ნიკოლოზ მეორის დახვრეტა

გაზ. „კუბანეც“-ში დაბეჭდილია მ. ვოინიჩის წერილი ნიკოლოზ მეორის დახვრეტის შესახებ.

„ტობოლსკიდან გადმოყვანის შემდეგ ყოფილი იმპერატორი ინჟინერ იპატიევის სახლში მოათავსეს. ეს იყო დიდი სახლი ქალაქის შუაგულას ორი ლობით შემოვლებული.

სახლს იცავდა რამდენიმე ათეული წითელლაშქრელი სამ რიგი ყარაულით: პირველი რიგი ეწყოდა გარე დაცვას, მეორე ლობეების შუა იდგა, მესამე კი ეზოში იდგა და კარ-ფანჯარას ყარაულობდა.

ყ. იმპერატორთან ერთად ეკატერინბურგში გადმოიყვანეს ნიდგოფლარი ალექსანდრა თეოდორეს ასული, მემკვიდრე ბატონიშვილი ალექსი და დიდი თავადები: ოლღა, ტატიანე, მარიამ და ანასტასია ნიკოლოზის ასულები.

სამეფო ოჯახს შეეძლო მხოლოდ დღისით ესეირნა ეზოში, შებინდებისას კი უნდა ჩაკეტილიყო ყველაზე მიყრუებულს და დაშორებულ ოთახში, რომელშიაც იდგა ერთი ხის ტახტი და სამაგალო „კოლიასკა“—საწოლით საგანგებოდ გაკეთებული ტობოლსკში ავადმყოფ ბატონიშვილისათვის.

მეფის ასულნი იწვნენ იატაკზე დაყრილ თიკვაში, სამანი არავის არ ჰქონდა და თიკვით იბურებოდნენ.

სამეფო სახლის ბედს იზიარებდნენ ლეიბ-მედიკი პროფესორი ბოტკინი, სეფე-ქალი ბარონესსა ბაუსგოდენი და ძველი სამეფო კარის კაცი კამერდინერი ჩემადურეოვი ერთად ერთი მოწამე სამეფო ოჯახის უკანასკნელ მდგომარეობისა.

ჩემოდურეოვის გადმოცემით ეკატერინბურგში დატუსაღებულთა მდგომარეობა აუწერელი ყოფილა. მუდამ დამთვრალი წითელგვარდიელები უხეშად ექცეოდნენ მათ. მუდამ დღე, დილით, საღამოთი სჩხრეკავდნენ. ეძებდნენ იარაღს, ხან წვრილს, ხან საწამლავს, რომელიც თითქოს გადაეცათ ნამეფარისთვის ყარაულების მოსაწამლად.

ჩხრეკის დროს ფიზიკურ შეურაცყოფასაც ჰქონდა ხოლმე ადგილი. აუწერელია და ძნელი გადმოსაცემია სიტყვებით ის გაჭირვება და დამცირება, რომელიც გადაიტანა იმპერატორის განსვენებულ ოჯახმა. ამ ტრაგედიის წინაშედ მართლდება საფრანგეთის სისხლიან რევოლუციის ფურცლები.

ათი დღის წინად სანამ ეკატერინბურგს ჩეხო-სლოვაკები დაიპერდნენ ადგილობრივ სოვდეპში პანიკა დაიწყო. ბოლშევიკებმა იცოდნენ რასაკვირველია, რომ ქალაქს ვერა გზით ვერ შეირჩენდნენ და მსწრაფლ მოახდინეს ყველა დაწესებულებათა ევაკუაცია. ამ დროს ქალაქში გავრცელდა ხმები, ვითომც ციმბირის ჯარები ეშურებოდნენ ეკატერინბურგში ნიკოლოზ მეორის გასანთავისუფლებლად და ტახტზე ასაყვანად. ეს ხმები იყო მიზეზი საშინელ ამბის დაჩქარებისა.

ამ გადაწყვეტილებისათვის პირველი ხმის მიმცემი იყო ადგილობრივ „ჩრეზვიჩაინის“ წარმომადგენელი იუსტიციის კომისარი იუროვსკი (რევ. ფსევდ.) მანვე იკისრა განაჩენის სისრულეში მოყვანა. სხდომის შემდეგ იუროვსკი მაშინვე გაეშურა იპატიევის სახლში და ეს ამბავი წითელგვარდიელებს აცნობა. წითელგვარდიელები „ურა“-ს ძახილით შეეგებენ იუროვის სიტყვას და მთელი სახლი აახმაურეს.

მეფე-დედოფალმა გაიგეს მაშინვე ამბავი და ლოცვა დაიწყეს.

მეფის ასულნი თიკვაში აკანკალდნენ და ერთმანეთს მიეკვრნენ, ხოლო ავადმყოფი ბატონიშვილი, რომელსაც დიდი სიცხე ჰქონდა, ატირდა. მამამ შვილი ხელში აიყვანა და ნუგეში მისცა. ბავშვმა ხელი მოჰხვია მამას და სრულიად ჩაშკვდარი გაშტერებით ჩააცქერდა შემოხვეულთ მკრთალ სახეებს.

კარები გაიღო და ბეჭეზე წითელარმიელები გამოჩნდნენ. ფრვილინა ბარონესსა ნუკსოდომი აკანკალებული დედოფალს მიჰვარდა. იუროვსკიმ, რომელიც წითელ არმიელებს წინ მოუძღოდა გაიცინა და მეფეს დაცინვის განცხადებით მიჰმართა:

— აჰა, თქვენ, როგორც სჩანს კიდეც მომზადებულხართ?

მეფემ წყნარად წარმოსთქვა:

— ჰო, მზადა ვარ.

— არა თუ მარტო შენ მეფეო, არამედ შენი... ჯიშიც! უპასუხა იუროვსკიმ და წითელარმიელებს მიჰმართა:

— გამორეკეთ ყველანი! ცერემონიების დრო არ არის.

იყო ღამის 2 ს. 30 წ. მეფე პირველი გაეშურა კარისკენ. მას ხელში ბატონიშვილი ეჭირა,—დედოფალ, მეფის ასულები და სეფე-ქალი მას მიჰყვნენ. კიბეზე მათ შეეხვდნენ დაჭერილები ლ. მედ. ბოტკინი, გრაფის ცოლი გონდრიგოვი, თ. დოლგორუკოვისა და გრაფი ტატიშჩევი.

— თქვენც? შეეკითხა მეფე ბოტკინს. მოხუცი კარის პროფესორი აკანკალდა და ხმა არ გასცა.

სასიკვდილოდ განწირულები ჩაიყვანეს სარდაფში სადაც მკვლელობა მოახდინეს.

წითელარმიელები ჰხვრეტავდნენ სათითაოდ,—ჯერ დედოფალი, შემდეგ მეფის ქალები და ბოლოს თვითონ მეფე, რომელსაც ხელში ბატონიშვილი ეჭირა.

დახვრიტეს ორივე ერთად. უმიზნებდნენ თვალებ შუა, ან საფეთქელში.

მეფე, დედოფალი და ბოტკინი მაშინვე დაეცნენ, დანარჩენები კვდებოდნენ ათი სროლის შემდეგ. ყველაზე შეტად იტანჯა ტატიანე ნიკოლოზის ასული—რომელსაც თან თოფის კონდახით სცემდნენ თავში.

მოკლულთ გვამები დაუდეს ავტომობილზე და ქალაქ გარედ დიდ ცეცხლზე დასწვეს. გვამები მთელი ღამე იწვოდა, საღამოთი დარჩა მარტო ნაცარი, ორიოდე ძვალი და ტანისამოსის ღილები წითელარმიელებმა ცეცხლს და ნაცარს მიწა წააყარეს.

პრ. დილმა მოიძია ყველაფერი და იპოვა მხოლოდ მსხვილი ბრილიანტი, რომელსაც ტატიანა ინახავდა საცვლებში.

ნაცარში იპოვეს ბატონიშვილის მუნდირის ღილებიც.

საგამომძიებლო კომისიამ გაჩხრიკა მოსახლეობა და სამეფო ოჯახის კუთვნილი ნივთეული სულ ჩამოართვა მომავალ ეროვნულ მუზეუმისთვის. ზოგიერთი ნივთები აქვს შენახული პროფესორ დილლს,

მეფის წყალილები, ქაღალდები და ქონება მთლად დაიტაცეს და გადანადგურეს. გადარჩენილ ქაღალდებიდან სჩანს, რომ მონარქმა მძიმე ზნეობრივი გარდატეხა განიცადა, მისი აზროვნება შეიცვალა, რომელიც ბრმა მისტიციზმში გადავიდა.

ასე მაგალითად, როცა მეფემ გაიგო რომ იგი აპატიევის სახლში იდგა, ამაში, ბედისწერის ნიშანი დაინახა. როგორც ცნობილია, რომანოვთა გვარეულობის პირველი წარმომადგენელი მეფედ არჩევამდე იპატიევის მონასტერში სცხოვრობდა.

ალექსანდრე თეოდორეს ასული ბოლომდე რელიგიურ ექსტაზში მოიცვა.

როცა წითელარმიელები შეცვივდნენ ოთახში, იგი ყურადღებას არ აქცევდა და როცა სასიკვდილოდ რევოლვერს უმზნებდნენ ის წყნარად ლოცულობდა.

დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

გერმანიაში

ბერლინი

ბერლინში სოციალისტური რესპუბლიკა გამოაცხადეს. კომუნისტებმა ჯარისკაცთა საბჭოებში დეპუტატები შესცვალეს და ებერტის მთავრობას გაუგზავნეს დეპეშა სადაც მოითხოვენ მისი მთავრობის გადადგომას.

„ფრანკფურტერ-ცეიტუნგი“, რომელიც სწერს, რომ ბერლინში მდგომარეობა არა მთავრობის სასარგებლოთაა. იმავე დროს აღნიშნავს დამხმარე ძალების მრავლათ შემოსვლას, რომლებიც ეპეს გარეშეა, აღადგენენ მთავრობის სასარგებლოთ მდგომარეობას.

პოლიციის მთავარ სასამართლოს და სილეზიის სადგურის აღებით 12 იანვარს ბერლინი სრულიად გაიწმინდა სპარტაკელებისაგან. პოლიციის სამართველოს ზარბაზნებს უშვნდენ, მას სროლა პირველათ აუტეხეს კვირა ღამით 1 საათზე, ჯერ ტყვიისმფრქვეველებით და შემდეგ გარიჟრაჟზე ზარბაზნებიც აამოქმედეს იმ მოსაზრებით, რომ გათენებამდე ხალხზე იერიშის მიტანა შესაძლებელი გამხდარიყო, 35 ყუმბარის გასროლის შემდეგ პოლიციის სამართველოდან სროლა შესწყდა. მთავრობის ჯარის ხელის ყუმბარების სროლით გზა გაიკაფა მიწის ქვეშ რკინის გზის შესაყალისკენ, რომელიც პოლიციის სამართველოსთან გადის—მიალწია პოლიციის სამმართველოს შენობას და მთავარი შესაყალი ააფეთქა. ჯარის მეორე ნაწილმა შენობა დაიპირა და 450 კაცი ტყვეთ ჩაიგდო, რომელნიც ალექსანდრეს ბარაკში გაგზავნეს. მთავრობის ჯარი სრულიად არ დაზარალებულა. სპარტაკელებს კი მოუკლეს 12 და დაუჭრეს 13.

სილეზიის რკინს გზის სადგური აიღეს, რადგან სპარტაკელები დაიბნენ, როცა გაიგეს, რომ მთავარი პუნქტები დაკარგეს. მცირე სროლის შემდეგ სპარტაკელები ძლეულ იქნენ და დაჰნებდნენ მთავრობის ჯარს. პოლიციის უფროსი ეისგორნი გაიქცა. არ იციან სად იმყოფება. მთავრობის ჯარმა ბერლინის ახლო მარინენ-ფელდში დეიმლერის ქარხანა გაანთავისუფლა სპარტაკელებისაგან პოლიციის სამმართველოს აღების შემდეგ მთავრობის ჯარმა იქ მუშაობა განაახლა პოლიციის მოხელენი, რომელთაც რევოლიუციის პირველ დღეებში ნოემბრის 9—19-ში იარაღი აჰყარეს და სამსახურიდან დაითხოვეს. ისევ მიიღეს სამსახურში და იარაღი დაუბრუნეს. ყველა კერძო პირთ იარაღს ჰყრიან. მთავრობის ჯარმა კიდეც დაიწყო იარაღის ჩამორთმევა.

სპარტაკელების დამარცხების შემდეგ ბერლინში სიწყნარე და წესრიგია. სპარტაკელები ზოგიერთ ადგილებიდან განაგრძობენ სროლას, მაგრამ მათ სდევნის მთავრობის ერთგული ჯარი. მთავარ-სარდალმა ნოსკემ გასცა მკაცრი ბრძანება ძალით იარაღის ჩამორთმევის შესახებ.

რადეკმა ბერლინი დასტოვა. ლიბკნეხტი და ეისგორნი უკვალოთ სადღაც გაქრნ. პოლიცია დარწმუნებულია, რომ მალე დაიჭერენ მათ.

ფოსტის და რკინის გზის მოსამსახურეები იმუქრებიან შეწყვეტით, უკეთუ საჩქაროთ არ შეაჩერებენ დაპატიმრებას.

მომავალში ბერლინის დაცვის შესახებ პოლიციის უფროსმა რიხტერმა პრუსიის ერთ წარმომადგენელს განუცხადა, რომ შეუდგება თუ არა ის თანამდებობის ასრულებას, აღძრავს საკითხს პოლიციის ძველი აგენტები დააბრუნონ თავიანთი თანამდებობაზე ძველ უფლებებით. რესპუბლიკანურ ჯარების დათხოვნაზე ჯერ ფიქრიც კი შეუძლებელია. სწორეთ მათ გაუწიეს მთავრობას დიდი სამსახური და შემდეგში ისინი პოლიციის მოხელეებათ უნდა ჩაირიცხონ, დღევანდელ საშიშ მდგომარეობასთან საბრძოველად უნდა დაარსდეს განსაკუთრებული მფრინავი რაზმი, რომელიც ყოველ ჟამს მზად იქნება. და ქვეითა პატრულები, რომლებიც დღე და ღამ ივლიან ქალაქში ავტომობილებით. რიხტერმა ამას გარდა განაცხადა, რომ ის ყოველ ზომებს მიიღებს 19 იანვარს ეროვნულ ყრილობის დასაცავად. იმ შენობაში, სადაც არჩევნები იქნება, ჩააყენებენ სამხედრო თავდაცვის ძლიერ რაზმებს და ქალაქში პატრულებს გააძლიერებენ. გადგან გიულმშაუს ოლქში აგზშირდა დავდასხმა პოლონელების მიერ. საჭიროა დაარსდეს გუნდები (როტა), რომელიც შესდგება ადგილობრივ მცხოვრებთაგან და რომლებიც თვით აირჩევენ დავიანთ უფროსებს.

ინგლისური პრესა.

16 იანვარი

დრ. ზავის კომისია ტრიერში

დროებითი ზავის გერმანული კომისიის თავმჯდომარე სტატს-სეკრეტარი ერბერგი იანვრის 14 ჩავიდა კასელში. იქვე ჩავიდენ გრაფი ობერდროკი. საზღვაო სამსახურის კაპიტანი ვანზელოვი და მთავრობის კომისრები. ტრიერში წასვლამდე მათ ხანგრძლივი თათბირი ქონდათ. ტრიერში შეხვდენ გენერალ ფონ-ვინზელფელდს, რომელიც სამ დელეგატთან ერთათ ჩამოვიდა სპადან. მოლაპარაკება იანვრის 15 დაიწყება. მოელიან მარშალ-ფოსს.

პოლონელები ბრომბერგთან

„ფოსიშე ცეიტუნგი“ იუწყება, რომ ბრომბერგს ალყა შემოარტყეს პოლონელებმა, რის შემდეგ მათ დაიპყრეს რორბრუკი, პირველი სადგური ბრომბერგ-გოგზალიცის რკინის გზის ხაზზე, პოლონელები მხოლოდ 4 კილომეტრით არიან დაშორებული ბრომბერგს-რორბრუკის სამხრეთით მდგარი გერმანიის არტილერია და ქვეითი ჯარი ნაფრთხეშია. შესაძლებელია მათ გზა გადუკრან. დროებით ზავს ყურადღებას არ აქცევენ. 80 ახალგაზრდა პოლონელმა დასდგა ტყვიისმფრქვეველები ნიკელ, აუფენტრენტ, შნეიკლგმონ, ბრომბერგის რკინის გზის ხაზზე. ამის გამო ბრომბერგიდან მხოლოდ დანცინგზე და ტორნზეა გზა.

მიტავის დატოვება გერმანელებისაგან

13 იანვარს გერმანიის ჯარმა დასტოვა მიტავა.

ბოლშ. წარმომადგ. ტუკუმსა და ტალზენში

ტუკუმში და ტალზენში ბოლშევიკებთა წარმომადგენლობა დაასდა. გერმანული ბალტიის მცხოვრებნი და სამხედრო პირნი დაატუსაღეს. მიტავა-შაულენს შორის რკინის გზით მიმოსვლა შეწყვეტილია.

ზემო სილეზია

ზემო სილეზიიდან იუწყებიან: 19 იანვარს არჩევნების დღეს, პოლონელები ფიქრობენ მოახდინონ აჯანყება და ამით ეროვნულ ყრილობის არჩევნებს ხელი შეუშალონ. პოლონეთში რჩება ჯარი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს შესაფერისი პასუხი გასცეს აჯანყებულთ.

პოლონეთის პრემიერ პადარევსკის დაჭრა.

პოდონეთის პრემიერ პადარევსკი თავის ბინაზე უცნობმა თავის ბინაზე მსუბუქად დასჭრეს. ეუვით რამოდენიმე კაცი დააპატიმრეს. მტკიცდება, რომ ეს თავდასხმა ბოლშევიკების შეთქმულების შედეგია.

გაფიცვები ამერიკაში.

გაფიცვები ამერიკაში ფაქტიურად გაფიცვები მხოლოდ ნიუ-იორკშია. ქვა-ნახშირის შემოზიდვა საგრძნობლად შემცირდა, რაც განაპირა ნაწილებს მიმოსვლის შეწყვეტით ემუქრება. სურსათის საკითხი სერიოზულად სდგას. ადგილობრივი მთავრობა ზომებს იღებს, რომ განახლდეს მუშაობა და მუშებს ხელფასის მომატებას ჰპირდებიან.

ბუენოს-აირესში ნავთსადგურის მუშების გაფიცვებია. გაფიცულ მუშათა რიცხვი 150.000 აღწევს. გაფიცულებმა დასწვეს რამოდენიმე შენობა, სადაც დიდძალი ამუნიცია ინახებოდა. გაფიცვების დაწყებას გერმანელების აგენტების აგიტაციას აწერია. ბუენოს აირეში როგორც სჩანს ანარქია გახშირდა ექსცესები ცარცვა-გლეჯვა და უმიზეზოთ ხალხის კვლა.

უკანასკნელი ცნობით ნიუორკის მუშების უმეტესობამ, შრომის ბიუროს მოწოდების შემდეგ თანხმობა განაცხადა განაახლონ მუშაობა.

ახალი მთავრობა ინგლისში

ინგლისის ახალ კაბინეთში არიან: ლლოიდ ჯორჯი—პირველი მინისტრი, ბონარლოუ¦თემთა პალატის თავმჯდომარე, პერზონი—ლორდთა პალატის თავმჯდომარე, ბეერსი და ერუსკი უპორტფელო მინისტრები, გედესი—ლორდ კანცლერი, სმიტი—შინაგან საქმეთა მინისტრი, გამარ გრანტუდი—საგარეო საქმეთა მდივანი, ბალფური—ახალშენის საქმეთა მდივანი, შილნერი—სამხედრო მინისტრი, ჩერჩილი—საავიაციო მინისტრი, გენ.-მაიორი სელლე—საავიაციო მდივანის თანაშემწე და საავიაციო საბჭოს თავმჯდომარეთ, მონტეგიუნი—ინდოეთის საქმეთა მდივანი, თანაშემწედ—სენ სისლა.

ახალ მთავრობაში უმეტესი ნაწილი ძველი შემადგენლობაა. გამონაკლისს შეადგენს სინლას დანიშვნა, რომელიც მოულოდნელი იყო, რადგან წინასწარ სიაში არ იყო აღნიშნული. სინლა პირველი ინდოელია, რომელიც ბრიტანეთის მთავრობაში შედის და ჰფიქრობენ, რომ მას ჰერის ხარისხს მიანიჭებენ. სამინისტრო შემდგარია 36 უნიონისტისაგან, 35 ლიბერალებისაგან და მუშათა პარტიის 4 წარმომადგენელისაგან, რომლის რიცხვი არჩევნების შემდეგ 6-ამდე ავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმერთა მეფე სოლომონ

(1815 წ.)

(გაგრძელება)

12. მოგილევსკი

ამისდამიუხედავად ტორმასოვი სცდილობდა საქმე მშვიდობიანად გაეთავებინა. ტორმასოვი ურჩევდა მეფეს: პეტრეს ქალაქში გაეგზავნა დესპანებად: კონსტანტინე ბატონიშვილი, რომელიც მეფის მეშკვიდრედ ითვლებოდა, მეფის სიძე მალხაზ ანდრონიკაშვილი, სოლომონ ლეონიძე, სეხნია წულუკიძე, ქაიხოსრო წერეთელი და როსტომ ნიკარაძე—ყველანი რუსთა მტერნი; მეფე უნდა დასახლდეს ქუთაისში; მაღლობა გამოუცხადოს იმპერატორს იმერეთის რუსთა მფარველობის ქვეშე მიღებისათვის... ტორმასოვმა დაამზადა პროკლამაციაც იმერთა შორის გასავრცელებლად, რომელშიც პირდებოდა ხალხს მეფის ნაცვლად დროებით მართველობას რუსის მოხელის თავმჯდომარეობით. ეს წერილი და პროკლამაცია ტორმასოვმა გაუგზავნა სიმონოვიჩს და სთხოვა მათი შეჩერება, ვიდრე მისი აგენტი მოგილევსკი საკუთრად მეფეს არ ინახულებდა თვით მეფის სურვილით.

მოგილევსკისთან მუსაიფის საშუალებით გამოირკვა, რომ მეფე აბრალებდა რუსებს პირობათა გატეხას: ლეჩხუმის მიცემას დადიანისთვის და რუსის ჯარის ჩაყენებას ქუთაისში.

სოლომონს მოგილევსკიმ მოახსენა, რომ რუსის ჯარი ქუთაისში იმის გულისთვის არის, რომ იმერნი თათართა საშიშროებისაგან დაიცვასო. სოლომონმა უპასუხა: „მე იმდენად ლონიერი ვარ, რომ არამც თუ თათრებისა, არც ერთი მეზობელი სახელმწიფოსი არ მეშინია, და ყოველთვის იმედი მაქვს რუსეთის ჯარის დაუხმარებლად დავძლევ შათა, მაგრამ აქ სულ სხვა აზრი აქვს რუსეთს და არა ის, რასაც თქვენ მეუბნებითო“.

მოგილევსკიმ განუმარტა მეფეს, რომ ხელმწიფემ გადასწყვიტა ძალით წართვას მას საქეფო, რისთვისაც ჯარებია დამზადებული. ბევრი ლაპარაკის შემდეგ მეფე იმ აზრზე გაჩერდა: „მომცენ იმერეთში მეფობის ნება, გაიყვანონ იმერეთიდან თავისი ჯარი, მეტი მე მათგან მოწყალება არც მინდა და არც ველი.

ამავე რდოს მეფემ შეიტყო, რომ სამეგრელოდან და გურიიდან მოვიდნენ მილიციონერები რუსთაგან მოკრეფილი ლევან დადიანის და მამია გურიელის მეთაურობით სოლომონის წინააღმდეგ საბრძოლველად. მეფეს ჰყავდა ოთხი ათასი ჯარი, მაგრამ უკანასკნელი თანდათან ეხვლდებოდა, რადგან ეშინოდათ რუსების შურისძიებისა მათი მამულის და ცოლშვილის წინააღმდეგ. სოლომონ მეფე სვირსა და ბაღდადში იმყოფებოდა ყოვლის მხრით გარშემორტყმული მტერთაგან. 9 მარტს 1810 წელს მას ყველა გადაუდგა, რასაკვირველია, შიშით და იძულებით...

13. სოლომონ მეფის წასვლა ტორმასოვის სანახავად. მისი თბილისიდან გაპარვა

მოგილევსკის და სოლომონოვიჩის ჩარევით მათ მიგრ მიცემულ ფიცის შემდეგ სოლომონ მეფე, შევიწროებული მტერთაგან, გაემგზავრა ქართლს ტორმასოვის სანახავად. შეხვედრა მათი დანიშნული იყო სურამის ახლოს, მაგრამ მეფეს მოატყუეს. ასე მოტყუებით თბილისში ჩაიყვანეს და იქ მოათავსეს ავლაბრის ხიდის და მეჩეთის ახლოს სუმბათაშვილის სახლში. დარაჯიც მიუჩინეს. ტორმასოვი აღტაცებაში იყო, რომ ურჩი მეფე ტყვედ ჰყავდა. სიმონოვიჩი ღენერლის ხარისხით დააჯილდოვა და დანიშნა დასავლეთ საქართველოს რუსის ჯართა მთავარ-სარდლად... იმერეთი ამის შემდეგაც მაინც ვერ დამშვიდდა. ამის მიზეზი იყო ის, რომ 11 მაისს, 1801 წელს მეფე გაიპარა თბილისიდან. მეფეს ახლდა ერთი აფიცერი. მასთან ნებადაურთველად არავის უშვებდნენ. ღამე და დღე სამი პოლიციელი სდარაჯობდა მეფის სადგომს. მხლებელთა ცხენები ავლაბარში იყვნენ საძოვარზე. მათი წამოყვანა შეიძლებოდა ბოქაულის ნებართვით. ერთი სიტყვით, სასტიკი ზომები იყო მიღებული მეფის დასაცავად. ამისდა მიუხედავად მეფე შაინც გაიპარა. ცხენები იმერლებმა მოტყუებით ავლაბრიდან მოიყვანეს ვერაზე... გაპარვის წინა ღამეს მეფემ ივანშმა და ადრე დაიძინა. შუაღამის ხანს მეფემ ჩაიცვა თვისი მსახურის სალარიძის ტანისამოსი. სალარიძე მეფის საწოლში დაწვა. მეფემ ნაცარით მოისარვა პირი, საღვინე ხელში აიღო

და გავიდა ბაღში. ორს დარაჯსწთამამად გაუარა და უთხრა, რომ მსახურია მეფისა და წყლის მოსატანად მიდის. მას უცდიდა ერთი იმერელი დარაჯი ქუჩაში. ამან მშვიდობით გაატარა მეფე ქალაქში და გალავანს გარედ გაიყვანა. მას დახვდნენ ოთხი წერეთელი, მათში ზურაბის შვილი სიმონი, ერისთავები, აბაშიძე, 23 ცხენოსანი. სოლომონი ახალციხეში მივიდა. მან ხელმწიფის მიერ გამოგზავნილი ალექსანდრე ნეველის ორდენი თბილისში უპატივცემულო დასტოვა. ტორმასოვი და ხელმწიფე მეტად შესწუხდნენ სოლომონის გაპარვით. ამ გარემოებას მოჰყვა სასტიკი სასჯელი დამნაშავეთა. თბილისის კომენდატი კოშნენი ხუთი თვით ციხეში დატუსაღების შემდეგ სამსახურიდან დაითხოვეს, პოლიცმეისტერს ბარათაშვილს აწნაურობა ახადეს და უბრალო ჯარისკაცად გაანწესეს; პოლიციელები ავთანდილოვი, პენტელეევი, ერივანსკი,—სიკვდილით დასაჯეს; მეფის მსახურთ: თაბუკაშვილს და სალარიძეს ციმბირის გზა უჩვენეს. ასისთავი ფალავანდიშვილი—დახვრიტეს.

14. მეფე ახალციხეში.

ახალციხეში მისვლის შემდეგ მეფემ გამართა მიწერ-მოწერა იმერლებთან და აღელვებდა მათ რუსთა წინააღმდეგ. ქუთაითელ მიტროპოლიტს დოსითეოსს მისწერა გრძნობით სავსე წერილი, რომლიდანაც ზოგიერთ ადგილებს მოვიყვანთ:

„...ცას ქვეშეთს დიდებას—თქვენთან ყოფნა, თქვენთან სიხარული, თქვენთან სიცოცხლე და სიკვდილი ვირჩიე... თქვენს პატივისცემისა და სიყვარულისაგან არასოდეს ჩემი გული არ გამაძღარა; აწ კიდეე სიკვდილისა განსაცდელისათვის თავს გადავსდევ თქვენთან სიცოცხლისათვის. თქვენი მეზობელნი ოსთა ხელში უნუგეშოდ კვნესიან 6 დღე და დღე ოჯახის პატიგიდან მდაბლდებიან, სახლის და ცოლშვილის უპატიობისათვის სიკვდილს ნატრულობენ... უმწარესი და ყოველ მეზობლებზე უძნელესი დღე იმერეთს მიადგება... რომელსაც დღეს ოქროს აძლევენ, ხვალ მათ ის ოჯახის საცხოვრებასაც წაართმევენ... მისი ცოლშვილის პატიოსნებას უპატიოდ გახდიან. შეხედეთ საქართველოს (იგულისხმება ქართლ-კახეთი), რომელიც პირველში ფიცითა და ოქროთი შოატუუეს და დღეს აღარც სიმდიდრე უხარია და აღარც თავისი სახლი და სიკვდილს ნატრულობენ. რუსები თავის ჩვეულებას თქვენთვის არ გამოიცვლიან.

აწ ეს არის დღე ერთგულებისა განთავისუფლებისა თქვენისათვის. განამტკიცეთ მამაშვილური სიყვარული... მე თვითონ შემოვალ თქვენთან... უცხო ჯარებს აღარას დაგეძებ... თქვენთან და იმერეთში ცხოვრებისათვის ჩემი სიცოცხლე უნდა დავასრულო.

სასტიკი ზომების მიუხედავათ, იმერეთს კავშირი ჰქონდა თვისს ბედკრულ მეფესთან. მას ხალხი დიდათ პატივს ცემდა, როგორც მისი თავისუფლებისათვის მებრძოლს, რომელმაც ქედი არ მოხარა ტლანქი ძალის წინაშე... ხალხი ღელავდა და თანაუგრძნობდა დევნილ და წამებულ გვირგვინოსანს. თანდათან სოლომონის აზრები რუსთა შესახებ მართლდებოდა. კახეთი იმ ჟამად აჯანყებისათვის ემზადებოდა. იმ მძიმე ბეგარის გამო, რომელიც გამოიხატებოდა რუსის ჯარის იარაღის და სუოსათის ზიდვაში ხარ-კაძეჩით და ურძებით... 2000 ურემი სპირდებოდა ყოველსავე ამას. ძოიჯაოადოეები ხალხს ფულს არ აძლევდენ თავის დროზე და, თუ აძლევდენ, ძლიერ ცოტას (თორმეტის მაგივრად 4 მანეთს). ორავალი მუშაკი კვდებოდა და მრავალი ხარ-კაძეჩი იხოცებოდა. ყოველივე ეს იმერეთში იცოდენ, და ამის გამო ხალხი რუსთა ბატონობის დაპკვიდრებას არ თანაუგრძნობდა...

სიმონოვიჩი არწმუნებდა მთავრობას, რომ იმერეთის დამშვიდება მარტო სოლომონის მოწვევით შეიძლებაო. ზურაბ წერეთელი რომ ხედავდა ხალხის აღელვარებას, რუსებს ზოგი შეაქცია და ბოაფერში აღარ შველოდა. ძღელვარება სტიქიონისავით ძოედო იმერეთს: გზები შეიკრა, სიმონოვიჩის კაცებს სჩხრეკდეს, მეფის ბინას მალავდეს... 2000 აჯანყებულმა იმერელმა ქაიხოსრო აბაშიძის მეთაურობით დაამარცხა კალატოზიშვილის რაზმი: თვით კალატოზიშვილი მოკლულ იქმნა; შეიკრა გზა ქართლ-კახეთს ძიმავალი. ზურაბ წერეთელმა, ამ ორ პირ და ორპოფა ადამიანმა, ეს გარემოება აცნობა ტორმასოვს. აჯანყებულებმა დააზარალეს ქუთაისში მიმავალი კნიაგინინის როტა. კაპიტან სოუხანოვის როტას ბაღდადთან დიდი ზარალი მიაყენეს...

ილია ფერაძე.

(დასასრული იქნება).

ზოგი რამ

* * *

ქუჩაში ოთხი კაცი მიცვალებულს მიასვენებდა, არც შემოსილი მიუძღოდა ვინმე, არც მომტირალნი მისდევდნენ, ერთი მოხუცი დედაკაცი დადგა და უყურებდა ამ სურათს, თანა დუდუნებდა; რა უბედური მიცვალებულია! აბა თუ ერთი მომტირალი მისდევდესო, განუსვენე უფალო სულსა მიცვალებულისა მონისა შენისასაო“.

ამ დროს კუბო დადგეს, კაცებს დასვენება უნდოდათ. უცბად კუბოში რაღაც დარახუნდა: იქვე გამვლელ პატარა ბიჭმა რახუნს ყური მოჰკრა, ეპეი შეეპარა, გაიქცა და მილიციელს შეატყობინა. მილიციელი შორი-ახლოს გაჰყვა, როცა კუბო ხოჯევანქის სასაფლაოზე მიასვენეს მილიციელმა კუბოს თავი ძალად აახდევინა და მიცვალებულის მაგივრად შიგ ტყვიისმფრქვეველი—იწვა არხეინად.

თურმე ტყვიისმფრქვეველის დამალვა, უნდოდათ მაგრამ ვერ მოახერხეს. ტყვიისმფრქვეველმა თავის თავიც გასცა და უცრემლო დამშარხველნიც.

რას არ ჩაიდენს ადამიანი?!

მამაო, აპატიე ამათ რაცა არ იციან რას იქმნენ. მაგრამ, უკაცრავად; სომხებმა ძალიან კარგად იციან რასაც იქმნენ...

* * *

ნეტა როდემდის უნდა გაგრძელდეს ეს საშინელი სიძვირე? თითქოს ერთი მეორეს ეჯიბრებოდეს: არა მე უფრო მეტის მოგება შემიძლიანო, ვიდრე შენაო და სწვევენ და სწვევენ მაღლა ფასებში თავის საქონელს. ვინ არის შეწუხებული ამ სიძვირით?

რასაკვირველია მხოლოდ და მხოლოდ ღარიბი, ხალხი.

ზოგნი კარგა ხანია ცხელ წვნიან საკმელს მოკლებულნი არიან. მის მაგივრობას რა უწევდათ, მაგრამ შაქარი?.. ნახშირი?.. შეშა?.. ნავთი?...

სანამ შაქარს დაარიგებენ, სანამ ნავთს მოზიდავენ, სანამ შეშას ჩამოიტანენ ხალხს თავისი ემარ-თება და ისეც ბლეჯ ჯიბეში თაგვებიც აღარა კადრულობენ თავის შეყოფას თუ კი კერძო პირები ახერხებენ ყველაფრის შოვნას და მამასისხლად გაყიდვას, თუ მათ არ შეუძლიანთ ვინც მოვალენი არიან ხალხისათვის იზრუნონ?

ნუ გეშინიანთ, ხალხო, ყველაფერზედ ხიხრია დაწესებული! მაგრამ ნიხრს ვინ უგდებს? ეს ნიხრი ვისთვის იწერება? ნიხრით ვინა სარგებლობს?..—ხოლოდ ისინი, ვისაც ძალა აქვთ ხელში, ვისაც შეუძლიანთ ოქმი შეუდგინონ, გაჩხრიკონ, დაარბიონ, დაატუსაღონ და...

მაშ დანარჩენმა ხალხმა რა უნდა ქნას? დანარჩენმა უნდა შორიდან უყურონ და თითები ილოკონ.

* * *

შემოვდგი ფეხი, გუყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისაო შემოგვძახა მამაჩემმა ახალწლის ღამით, შემოვიდა შინ, მხარზედ დიდი შეშა გაედო და ხელში შმვენიერი ჩურჩხელა ეჭირა, ყველას ცოტ-ცოტა მოგვიტეხა და თან გვილოცავდა: ესე ტკბილად დამიბერდიო.

ძია, ახალწელიწადი ორი კვირის წინ დადგა და შენ რად დაიგვიანე ბეთქი, შეგეკითხე მე.

— არა, შვილო, ეგ თქვენი ახალი წელი კი მხოლოდ დღეს დადგაო, თუ ჩემი არა გჯერათ, აგე ყური დაუგდეთ რანაირი თოფის სროლაა ქალაქში; ძველ წელიწადს აცილებენ. აი ხვავდეს და ალარ მოვიდეს ის ოხერი, ის! ბევრი ჩვენი ახალგაზრდა და ჯანიანი იმსხვერპლა ტყვილ-უბრალოდ და ძმებში ომი ასტეხა.

გზიდგან ხმაურობა და ყაყანი შემოგვესმა. გავიხედეთ და თურმე ჩვენი ძვეზობლები სომხები გულგახეთქილები გარედ გამოცვივხილყვნენ და ერთმანეთს ეკითხებოდნენ: ეს რა სროლაა, ჯარი რო დაბრუნდა, ახლა შულავერი აქ ხო არ უნდათ გააკეთოხო.

ჩვენ ვაშვიდებდით, ვუხსნიდით, ეგ ძველ წელიწადს ისტუმრებენ და ახალსა ხვდებიან.

ახარ, კაცო, ძველ წელიწადს რა გაგდგება უნდა თავის თავად მიდის რაღა! აფსუს რა წელიწადი მიდის! ვინ იცის ახალი როგორი მოვიდესო. აფსუს რა ტყვია-წამალს აფუჭებენ, ვალი კნიაგინეიჩის როტა. კაპიტან სოუხანოვის როტას ბაღდადთან დიდი ზარალი მიაყენეს...

ილია ფერაძე.

(დასასრული იქნება).

იოსეგ დავითაშვილი

(1850 1887)

(დასასრული)

დავითაშვილის ჰანგები ლრმად ჩამაფიქრებელია, მეტადრე გლეხის, მუშას შესახები. ტყუილად კი არ უყვარდა მას „გლახის ნაამბობი“ კითხვა. სწერს:

„მუშა ვარ და კიდეც ვიცი მუშის ბედი თუ რაც არი: ის ულვლში გაბმულია ქედ-მოდრეკით როგორც ხარი. მის გარეშულ მაგარ კანსა მუდამ რეცხავს ოფლის ღვარი... შრომობს მუშა, თანაც ლიდინებს“...

თუმცაო, განაგრძობს მგოსანი,

ჩვენ ვშრომობთ, შიწას ვმუშაობთ, ულლის ქვეშ როგორც ხარიო, მაგრამ სხვას რჩება ნაშრომი, დაფქული, გამომცხვარიო.

ესეთი უსამართლობა გულს უკლავდა, მაგრამ ჯავრის ამოყრაზე ფიქრი შორს იყო მისგან.

ასეთი დიდსულოვანია პოეტი—მუშა და თან შეჰბარის მუშის გამრჯე მარჯვენას.

ავტორს სწამს შრომის ძლიერება და მისგან მოვლენილი სიკეთე. თუ რომ შრომა გვეყყარებაო, გაგვიღიმებსო სვე და ბედი“.

მისი კლასიკური „ჯეჯილი“ რა ერთი ხანია ამშვენებს იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენას“. რა ძლიერი სიყვარულია, რა წვლილადი ცოდნა სოფლიურობისა! იზარდე, მწვანე ჯეჯილო, დაპურდი, მზე, ნამი, ქარი, მთელი ველი შენ გევლებიანო, შენით იხარიან, შენ დაგხარიანო!

მის ობოლს სულს განამხნევებს სამშობლოს სიყვარული.

სამშობლოს სიყვარულმა ამიმღვლვარა გული, განამხნევა—განამტკიცა სული დაობლებული!

ნეტარებაო იმ დედებს, რომ ზრდიან ნამდვილ შვილებსა, მამულის ერთგულ მხსნელსაო. ზიზღი კი იმათო, რომელთაც თავისი ენა არ მოსწონთ, ვერც უსწავლიათ სხვისაო, სადაც არ უნდა ხმარობენ „მერსი“ და „ნუჟლისაო“!

ქართველებოო, სამშობლო მიწა გიყვარდეთ, არ მოიცვალოთ ფეხიო, სულ ხელში გეპყრათ მის ბედი, გასწიგ-გამოსწით ხერხიო... არ დაივიწყოთ, გახსოვდეთ თქვენი მშობელი მიწაო: ისა გზდით, ძუძუს გაწოვებთ როგორც ერთგული ძიძაო.

ერთ რათმე ღირს მგოსნის მიმართვა სამშობლოსადმი:

სამშობლო ჩემო ლამაზო, ზურმუხტო ანუ ალმასო, ვიდრე შენს ზურგზე დავდივარ, გთხოვ, მწარე რამე არ მასო! მშვენიერი გაქვს ბუნება, სხვებიც ამბობენ ამასო; მაგ შენმა დაღონებამა გული დარდებით აღავსო!

მერე მრისხანეთ დაასკვნის:

წყეულიმც იყოს ის კაცი ღვთისგან, ვისაც სამშობლო არ ჰყვარებია!

და განა შეიძლება არ შეიყვაროს მოძმემ, როდესაც იცის, რომ

ჩვენს ქვეყანაზედ მდიდარი არ არის ქვეყნის პირსაო! შიგ სცხოვრობს ხალხი მუშაკი... ქართველის მამული სახეა ლამაზი სამოთხისაო...

და ამისთანა ტურფა ქვეყნის პატრონი ხარო „ქართველი კაცი გმირი“ და მოგეთხოვებაო, რომ „ძილს არ დაემონოო“.

უმეტესად უნდა იფხიზლოთ თქვენ, „გულით ძმანო მეომარნო, მშობელ ქვეყნის ბურჯნი იყვენით, გულმოდგინეთ მოუარეთ, ბრძოლაში ჩვენ გაჯობოთ, მტერს სიცოცხლე გაუმწარეთ“.

უთქვენოდ „ირღვევა წმინდა ტაძრები, წყაროს ნადენი მილითა, ცვდება, სრულიად ისპობა კედლებზედ წარწერილები“:., ჩვენმა ქალებმაც უარჰყვეს ქართველ დედობა, დაგვიმახინჯეს შვილები. ეუბნებიან: „შვილებო, მამას უძახეთ „პაპაო“, სამშობლო ენა ნუ გინდათ, ის ბუამ გადაყლაპაო“.

ამის მქნელი „ცუდი დროაო“, ეს ჩვენი დამღუპველია, მაგრამ შევისწავლოთო წიგნი, გავნათლდეთო, დავაარსოთო საერთო დუქნები-სავაჭროები, ქონებრივ და გონებრივ გავმაგრდეთო და მერე ვეღარავინ დაგძლევესო, რადგან შევიგნებთო ერთობის ძალას. აი ამიტომ უნდა დავიხსოვოთო და ვთქვათო:

ვინც რომ უმტყუნოს ერთობას, დღე ვეღარ ნახოს მზიანი, გამოერჩიოს ჩვენშია, ვიდოდეს თავლაფიანი!

ამას გარდა დავითაშვილის კალამს ეკუთვნის ბევრი შვენიერი ნაწყვეტები კერძო პირების შესახებ, მაგ. თამარ მეფისა, სერგეი მესხისა, ილიასი, აკაკისა, ბაქრაძისა და სხ. ყველგან გამოსჩქეს გულწრფელობა, წმინდა გულწრფელობა.

გარდაიცვალა ეს გლეხისა და მუშის სულისკვეთების მესაიდუმლოე თელავში 13 მარტს 1887 წელს: ფილტვების ანთებით ავად გახდა 8 მარტს და სრულიად უპატრონოდ მიიცვალა თავის ბნელ, ნოტიო და მწირ ოთახსარდაფში. ასე გათავდა მშვენიერი ცხოვრება იმავ ჯურღმულში, რომელიდამაც 37 წლის წინად მარტო თავის ნიჭის წყალობით ამოტივტივდა, მაღლა ამოვიდა ტეტიათა ფსკერიდამ მაუწყებლად მუშურ ახალ კილო—ჰანგებისა, დაპემა თავისი სუდიერი და ხორციელი ძალები, მაგრამ ამ ბუმბერაზულ დაპიმდაბრვამ ვერ მოუპოვა ნუგეში ვერც მისს სულს, ვერც მისს ხორცს. უკანასკნელ დროს იგი ისეთ გაპირვებაში ჩავარდა, რომ ცოცხალი უკვე მკვდარს ემსგავსებოდა, და თავის ალსასრულს უკვე თითონვე გრძნობდა. ავადგახდომის ერთი თვის წინად მას რომ შეეკითხა ვიღაც დარდიმანდი—„რა დაგემართა, მუზა ხომ არ გაგყინაო?“, მან 5 თებერვალს უპასუხა უომედოთ: ჩემი მუზა მოიკუბაო ისე, რომ მარტირუბაც რომ მოფრინდეს, ველარ მიშველისო. ჟრუანტელს ჰგვრის კაცს მისი სიტყვები:

ვინ მოჰკუბა? „შენმა კალამმა,—სწერს იგი აკაკის,—ამიხილა ბრმა თვალები. ნეტავ ისეთ ბრმა ვყოფილიყავ და თეთრი და შავი არ გამეცნო. რა ვუთხრა ჩემ დას, რომელმაც წიგნი მასწავლა! რა ენადვლებოდა ან ქურდი ან ავაზაკი გამხდარვიყავ, თუ კი პატიოსნება ასე შევიწროებულია და გასავალი არა აქვს“. ჩივილი შეეხება მაშინდელ საზოგადოებას, რომელშიაც მის ტანჯულ სულმა ვერ იპოვნა ვერც ტოლი, ვერც თანამგრძნობი: მოციქულად მოვიდა სამშობლოში და სამშობლოში კი იგი ვერ იცნა. ამისთანა საშინელებისაგან ბარათაშვილი გადაარჩინა მისმა მერანმა, ხოლო დავითაშვილი კი ორ გროშიან კუბომ. სადათ მოსული სადათ წავიდა, ანგელოზურ სპეტაკობით.

მ. ჯანაშვილი.

დიდუბის სასაფლაო

ამას წინათ ნაცნობის დასაფლავებას დავესწარი, დიდუბის ეკლესიის გალავანში. იქ ადგილები წინასწარ შედგენილი და გარკვეული გეგმით არის დანაწილებული და რამდენად სასიამოვნოა ეს, იმდენად სამწუხაროა ის გარემოება რომ ეკლესიის უკან არავითარი წესრიგი და გეგმა არ არის.

და ეს არც გასაკვირია, ვინაიდგან საფლავებისთვის ადგილს არჩევს და უზრუნავს სრულიად უცოდინარი, ამ საქმეში, პირი, დარაჯი, რომელიც მხოლოდ თავისი აზრით ხელმძღვანელობს ასეთი „მცოდნე“ პირის გამგებლობა, რასაკვირველია, სასაფლაოს სილამაზეს და სიმშვენიერეს ვერ მიანიჭებს, ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ და მით უმეტეს ისეთ სასაფლაოზე, სადაც პანთეონია მოთავსებული და სადაც ათასობით უცხო ელემენტები დაიწყებენ სიარულს.

ეკლესიის ადმინისტრაცია ჭიოისუფლებს საფლავებისთვის საკმაოდ დიდ ფასებს ახდევინებს. თუ ეს აუცილებელია ისიც აუცილებელი უნდა იყოს, რომ ადგილების დანაწილება განსაზღვრული გეგმით უნდა ხდებოდეს, გასავლელი გზები იყოს დატოვებული და სილამაზეს ყურადღება ჰქოხდეს მიქცეული.

შემთხვევით დამსწრე.

ბიბლიოგრაფია

წერილი მცხეთიდან

გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით გადააყენეს მცხეთის რაიონის კომისარი ცინცაძე, რომელიც ცნობილია უადამიანობით და ჟახდარმული გამოსვლებით. ხალხი ძოითხოვს მის საქმეთა გამოძიებას და ღირსეულ ჯილდოს მიღებას. გლეხობა მადლობელია გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, ძაგრამ სამწუხაროდ ბედმა აქ დაგვიტოვა მისი მწერალი, რომელიც თახაზიარია ბ. ცინცაძეს მეკრთაძეობასა და გლეხობის ტყვილ-უბრალოდ ცემა-შეურაცხყოფაში. ალბად ძასაც უნდა ძოეთხოვოს პასუხი და აღარ ჰბილწავდეს ადგურობას.

მცხეთის სადგურის გასწვრივ, სარკინეთის მთაში არსებობს ძველი მონასტერი, რომელშიც ამ ოცდა ხუთი წლის წინად დასახლდნენ რუსის მოლოზნები და უწოდეს ოლგას სეიტი. დღესაც აქ თავი მოუყრიათ რუსის შავრაზმულ მოლოზნებს, ქართველ მღვდელს ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა და საქ. კათალიკოსის მოხსენება აუკრძალეს და რუსულად აწირვინებენ.

ეს მონასტერი წმინდა ადგილია. მის არემარეში შეიმუსრა კერპი არბაში და აქვე მოღვაწეობდა წმ. ნინო. მცხეთა ჩვენი ივერუსალიმია. ყოველი მისი ადგილი მოფენილია წარსულ დიდების მადლით და ნათელით და აქ არ უნდა ჰქონდეს ადგილი მათ, როშელნიც მუდამ მზად არიან შეაგინონ ჩვენი სიწმინდე და ჩვენც მიწასთან გაგვასწორონ. მივაქციეთ მათი მეუფების თბილელ ლეონიდეს და საკათალიკოზო საბჭოს ყურადღებას.

უპატრონოდ არის მცხეთის ტაძარიც. ალაგ-ალაგ სწვეთავს ღა კედლის ზოგიერთი ნაწილი დაზიანებულია.

ტაძარი გაძარცულია და გაუშნოებული რუსის მოხელეთა მიერ. ძვირფასი მისი მხატვრობა კირით არის შელესილი, ეს მაშინ როცა საქართველოში იმპერატორი ალექსანდრე პირველის ჩამოსვლას ელოდნენ. დღეს ამ ჩვენი სიამაყისათვის დიდი მზრუნველობა და მოვლაა საჭირო.

შეიძლებოდა ყურადღება მიგვექცია სამთავროს დედათა მონასტერთან არსებულ ქალთა სასწავლებლისთვის, რომელიც ამ ზაფხულს უსალსრობით დაიკეტა და რომელიც დიდ სარგებლობას იძლეოდა მოზარდსათვის. ამავე მონასტრის მოლოზნებიც უკიდურეს მდგომარეობაში ჩაცვივდნენ და აქეთ-იქით გაიფანტნენ, ნუ თუ მცხეთაში ასე უნდა მოიშალოს ქრისტიანობა? რას აკეთებს ჩვენი სასულიერო მთავრობა?

არაგვის პირზე მცხეთაში, დგას ანტიოქიის საყდარი, ყველაზე უძველესი ნაშთი და უცნაური ხუროთმოძღვრებით. საყდარი ორად არის გაყოფილი. ერთია [illegible]. შეიძლება იგი [illegible] ანტიოხიის, პატრიარქის ან მისი მეტოქე საქართველოში. ეხლა შიგ ბზე ყრია და არავინ არ მიაქცია ყურადღება ამ უცნაურ ძეგლს.

ჰმართებს კი ყველას, მით უმეტეს ჩვენს მუზეუმებს და სასულიერო მთავრობას, მაგრამ როდის მიაქცევენ ყურადღებას?

ახლა დამოუკიდებელი ვართ, სახე ვიცვალეთ, სული განათლდა, უნდა გამოიკვლიოს ჩვენი სამშობლო სახე. წარსული არ უნდა დავიიწყოთ, მისი ნაშთები, მისი მოგონება უნდა შეგვფასოთ და შევიკრებოთ.

მცხეთა რელიგიური ადგილია ქართველისთვის; იგი უნდა იქცეს ისევ საქართველოს სიწმინდეთ და ახალი სახე მიეცეს, ამაზე უნდა იზრუნოს, როგორც სასულიერო მთავრობამ ისე რესპუბლიკამ.

ამიათარ მოგვთელი

თეატრი და მუსიკა

სახელმწიფო თეატრი. შაბათს, 18 იანვარს, „კამორრა“, მუს. ესპოზიტოსი; კვირას დილით „რიგოლეტტო“, საღამოთი—დირიჟორ სტოლერმანის ბენეფისი, გლინკას ოპერა: „რუსლან და ლიუდმილა“.

არტისტიულ სახ. თეატრი. დღეს, ნ. დიმოვის ბენეფისია. წავა „ჩვენი უბნის კომისარი“.

კვირას, 19 იანვარს, დილით—„თავადი სერგბრიანი“, საღამოთი „ზეერინოვ“.

გაზეთ „საქართველოს“ ფონდი.

დეკანოზ ალექსი გულისაშვილმა ჩვენი გაზეთის ფონდს 15 მანეთი შემოსწირა.

რედაქტორი **გერონტი ქიქოძე.**

ფინანსთა სამინისტროსაგან

ფულის ტრიალის გასაადვილებლად და სახელმწიფოს არა ჩვეულებრივ ხარჯების დასაკმაყოფილებლად, თანახმად საქართველოს პარლამენტის დადგენილებისა, რესპუბლიკის მთავრობა ჰსცემს 50.000,000 მანეთის 5 პროცენტიან მოკლე ვადიან სახელმწიფო ხაზინის ვალდებულებათ ერთი წლის ვადით (ესე იგი 1 იანვრამდე 1920 წ.).

ვალდებულება უსახელოა და დაყოფილია შემდეგ კუპურებად: 5,000, 1,000, 500, 100 და 25 მან.

თუ მსურველნი აღმოჩნდნენ, უსახელო ვალდებულებანი 5,000 მან. და 1,000 მანეთიანები შეიძლება გადაკეთდეს სახელობით ვალდებულებათ რაიცა უნდა ჩაიწეროს თბილისის ხაზინის დავთრებში.

აღნიშნულ ვალდებულებათა სარგებელი განთავისუფლებულია სახელმწიფო გადასახადისაგან.

ვალდებულება მიიღება ხაზინაში ყოველივე შემოსავალის დასაფარავად და აგრეთვე საწინდრათაც.

ვალდებულების შეძენა შეიძლება

მხოლოდ ნაღდ ფულად

ვალდებულებათა შეძენა შეიძლება 15 იანვრიდან სახელმწიფო ბანკში, რესპუბლიკის ყველა ხაზინებში, კერძო ბანკებში დასაკრედიტო კოოპერატივებში.

10—94—4

ქალაქის შრომის ბირჟა

ამით აცნობებს ყველა საზოგადო და კერძო დაწესებულებებს ქ. თბ. ბანკებს კანტორებს და სხ.,

რომ ბირჟაში ჩაწერილია აუარებელი რიცხვი უმუშევართა; სხვა და სხვა გვარ პროფესიებისა. რომელნიც იმყოფებიან უმწეო მდგომარეობაში სამუშაოს უქონლობით.

შრომის ბირჟა იმედოვნებს, რომ ყველა მოთხოვნილებები, როგორც მუშებზე ისე ყოველგვარ მოსამსახურეებზე **შარშანდულად** გმოგზავნილ იქნება შრომის ბირჟაში, რაც მოგვცემს საშვალებას მცირედ მაინც შეევამციროდ უმუშევართა რიცხვი. შრომის ბირჟა ჰგზავნის უმუშევართ სამუშაოზე, ცდილობს სავსებით დაკმაყოფილოს დამქირავებლების მოთხოვნილებანი და უგზავნის მათ საჭირო მუშებს. გასულ წელს ბირჟამ ადგილი უშოვნა **4,000** უმუშევართ, რომელთაც სავსებით შეასრულა დამქირავებლების მოთხოვნილებახი; რის გამო ბირჟამაც დაიმსახურა ერთგვარი სიმპატია, როგორც კერძო დამქირავებლებს, აგრეთვე სხვა და სხვა დაწესებულებების მხრივ.

შრომის ბირჟაში მოთავსებულია „ცნობების მიმწოდებელი ბიურო“, რომელიც იძლევა ყოველგვარ ცნობებს „ხელფასის შესახებ“, უმუშევართა რიცხვს, ცნობებს სხვა და სხვა კატეგორიის შესახებ და სხვა.

შრომის ბირჟა უფასოდ აწარმოებს საქმეებს, როგორც უმუშევართათვის ისე დამქირავებლებისათვის.

ბირჟას შეგიძლიათ მიმართოთ რთგორც წერილობრივ, ისე ტელეფონით.

შრომის ბირჟა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს. შვადღის 3 ს. გარდა კვირა და უქმე დღეებისა.

მისამართი მადათოვის ქუჩა № 11, სახლი ზუბალაშვილისა, ყოფილ „ლონდონის“ სასტუმროში, ტელ. 8—12.

შრომის ბირჟა უფასოდ აწარმოებს საქმეებს, რ აგორც უმუშევართათვის ისე დამქირავებლებისათვის.

4—4

ქართულ დრამატიულ სტუდიაში

განახლებულია მიღება ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა (განსაკუთრებით ინტელიგენტებისა). ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე 11-დან 2 საათამდე ქართული კლუბის სკენაზე.

სტუდიის ხელმძღვანელი **გ. ჯაბადარი.** ➔ ადმინისტრატორი **მ. ხერხეულიძე.**

(6—92—4)